

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია  
„მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

2018 წლის 31 დეკემბრით  
დასრულებული წლის ფინანსური  
ანგარიშგება

## სარჩევი

|   |    |
|---|----|
| დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა.....   | 3  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....   | 6  |
| მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება .....                    | 7  |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება .....                                    | 8  |
| საკუთარ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....                                    | 9  |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები .....                            | 10 |
| 1 ზოგადი ინფორმაცია .....   | 10 |
| 2 მომზადების საფუძვლები .....   | 11 |
| 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები .....                                     | 15 |
| 4 ფინანსური რისკის მიმოხილვა .....  | 33 |
| 5 ფასს 9-ზე გადასვლა.....   | 37 |
| 6 წმინდა საპროცენტო შემოსავალი.....   | 38 |
| 7 საერთო ადმინისტრაციული ხარჯები.....   | 39 |
| 8 მოგების გადასახადის ხარჯი.....  | 39 |
| 9 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....                                    | 40 |
| 10 კლიენტებზე გაცემული სესხები.....   | 41 |
| 11 ძირითადი საშუალებები.....  | 44 |
| 12 სხვა აქტივები .....  | 45 |
| 13 სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები .....                      | 45 |
| 14 სააქციო კაპიტალი და რეზერვები.....   | 48 |
| 15 რისკების მართვა, კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლის მექანიზმები .... | 49 |
| 16 საოპერაციო იჯარები.....  | 57 |
| 17 პირობითი ვალდებულებები .....   | 57 |
| 18 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....                                      | 58 |
| 19 სამართლიანი ღირებულების იერარქია .....                                       | 59 |
| 20 საანგარიშგებო თარიღის შემდეგი მოვლენები .....                                | 60 |



შპს „KPMG Georgia“

ჯი ემ თი პლაზა

მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4

თბილისი, საქართველო 0105

ტელეფონი: +995 322 93 57 13

ინტერნეტი: www.kpmg.ge

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ აქციონერებს

### დასკვნა

ჩვენ მოვახდინეთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ასევე შენიშვნებს, რომლებიც მოიცავს ფინანსური აღრიცხვის მნიშვნელოვან პოლიტიკებსა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაბამის საფუძველს.

### მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „მმართველობითი ანგარიშზე“. ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს „მმართველობითი ანგარიშის“ წაკითხვას და, შესაბამისად, იმის განსაზღვრას არის თუ არა „მმართველობითი ანგარიში“ არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან მიმართებაში, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არანაირი ფორმით არ გავცემთ „მმართველობითი ანგარიშთან“ დაკავშირებულ მტკიცებულებას. ჩვენ წავიკითხეთ „მმართველობითი ანგარიში“ და ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს მიხედვით, ჩვენ გამოგვაქვს დასკვნა იმასთან დაკავშირებით:

- შეესაბამება თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებას და ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს თუ არა ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.“



**ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების ფასს-ს შესაბამისად მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს „კომპანიის“ საქმიანობის გაგრძელების უნარი, საჭიროებისამებრ გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის აღნიშნული პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს ოპერაციები, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული ქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

**აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და ისინი არსებითია თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის ჩატარებისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტის მიზნებისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „კომპანიის“ შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატად;
- ვაფასებთ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს „კომპანიის“ საქმიანობის უწყვეტი ფუნქციონირების უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ



ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს „კომპანიის“, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს სამართლიანად;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“  
თბილისი, საქართველო  
27 ივნისი, 2019 წელი




ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს „კომპანიის“, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს სამართლიანად;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

  
შპს „KPMG Georgia“  
თბილისი, საქართველო  
27 ივნისი, 2019 წელი



*სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*

|   | შენიშვნები | 2018<br>ლარი'000 | 2017*<br>ლარი'000 |
|---|------------|------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                                   |            |                  |                   |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები             | 9          | 1,771            | 1,134             |
| კლიენტებზე გაცემული სესხები                       | 10         | 48,348           | 33,464            |
| ძირითადი საშუალებები                              | 11         | 1,933            | 1,363             |
| არამატერიალური აქტივები                           |            | 236              | 228               |
| გადავადებული საგადასახადო აქტივები                | 8          | 346              | 167               |
| მიმდინარე საგადასახადო აქტივი                     |            | -                | 151               |
| სხვა აქტივები                                     | 12         | 1,020            | 1,554             |
| <b>სულ აქტივები</b>                               |            | <b>53,654</b>    | <b>38,061</b>     |
| <b>ვალდებულებები</b>                              |            |                  |                   |
| სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები | 13         | 38,429           | 31,946            |
| მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება                |            | 186              | -                 |
| სხვა ვალდებულებები                                |            | 370              | 411               |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                          |            | <b>38,985</b>    | <b>32,357</b>     |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                          |            |                  |                   |
|   | 14         |                  |                   |
| სააქციო კაპიტალი                                  |            | 2,185            | 2,155             |
| სააქციო პრემია                                    |            | 852              | 795               |
| პრივილეგირებული აქციები                           |            | 7,347            | -                 |
| გაუნაწილებელი მოგება                              |            | 4,285            | 2,754             |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                      |            | <b>14,669</b>    | <b>5,704</b>      |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>     |            | <b>53,654</b>    | <b>38,061</b>     |

\* „კომპანია“ თავდაპირველად ფასს 9 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. შერჩეული გადასვლის მეთოდის მიხედვით, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული (იხ. შენიშვნა 3(e)).

6-60 გვერდებზე მოცემული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 27 ივნისს და ამ უკანასკნელის სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

\_\_\_\_\_

გია პეტრიაშვილი  
გენერალური დირექტორი

\_\_\_\_\_

თათია ჯაჯანაშვილი  
ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



**სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“**  
**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

|   | შენიშვნები | 2018<br>ლარი'000 | 2017*<br>ლარი'000 |
|---|------------|------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                                   |            |                  |                   |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები             | 9          | 1,771            | 1,134             |
| კლიენტებზე გაცემული სესხები                       | 10         | 48,348           | 33,464            |
| ძირითადი საშუალებები                              | 11         | 1,933            | 1,363             |
| არამატერიალური აქტივები                           |            | 236              | 228               |
| გადავადებული საგადასახადო აქტივები                | 8          | 346              | 167               |
| მიმდინარე საგადასახადო აქტივი                     |            | -                | 151               |
| სხვა აქტივები                                     | 12         | 1,020            | 1,554             |
| <b>სულ აქტივები</b>                               |            | <b>53,654</b>    | <b>38,061</b>     |
| <b>ვალდებულებები</b>                              |            |                  |                   |
| სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები | 13         | 38,429           | 31,946            |
| მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება                |            | 186              | -                 |
| სხვა ვალდებულებები                                |            | 370              | 411               |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                          |            | <b>38,985</b>    | <b>32,357</b>     |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                          |            |                  |                   |
| სააქციო კაპიტალი                                  | 14         | 2,185            | 2,155             |
| სააქციო პრემია                                    |            | 852              | 795               |
| პრივილეგირებული აქციები                           |            | 7,347            | -                 |
| გაუნაწილებელი მოგება                              |            | 4,285            | 2,754             |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                      |            | <b>14,669</b>    | <b>5,704</b>      |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>     |            | <b>53,654</b>    | <b>38,061</b>     |

\* „კომპანია“ თავდაპირველად ფასს 9 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. შერჩეული გადასვლის მეთოდის მიხედვით, შესაძარის ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული (იხ. შენიშვნა 3(ე)).

6-60 გვერდებზე მოცემული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 27 ივნისს და ამ უკანასკნელის სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

\_\_\_\_\_

გია პეტრიაშვილი  
 გენერალური დირექტორი

\_\_\_\_\_

თათია ჯაჯანაშვილი  
 ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



*სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“  
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით  
დასრულებული წლისთვის*

|   | 2018         | 2017*        |
|---|--------------|--------------|
| შენიშვნები  | ლარი'000     | ლარი'000     |
| ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი | 6            | 8,243        |
| საპროცენტო ხარჯი  | 6            | (3,439)      |
| <b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>   | <b>7,112</b> | <b>4,804</b> |
| საკომისიო შემოსავალი  | 1,293        | 830          |
| წმინდა ზარალი ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან                               | (458)        | (797)        |
| წმინდა შემოსულობა/(ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან             | (213)        | 239          |
| <b>საოპერაციო შემოსავალი</b>  | <b>7,734</b> | <b>5,076</b> |
| გაუფასურების ზარალი სასესხო ფინანსურ აქტივებზე                              | 10           | (601)        |
| პერსონალის ხარჯები  | (2,988)      | (2,034)      |
| საერთო ადმინისტრაციული ხარჯები  | 7            | (1,545)      |
| <b>მოგება დაბეგრამდე</b>  | <b>1,128</b> | <b>896</b>   |
| მოგების გადასახადის ხარჯი   | 8            | (151)        |
| <b>მოგება წლის განმავლობაში</b>   | <b>946</b>   | <b>745</b>   |
| <b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</b>  | <b>946</b>   | <b>745</b>   |

\*“კომპანია” თავდაპირველად ფასს 9 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. შერჩეული გადასვლის მეთოდის მიხედვით, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული (იხ. შენიშვნა 3(ე)). ფასს 9-ის დანერგვის შედეგად „კომპანია“ შეცვალა ზოგიერთი ერთეულის წარდგენა, შესადარისი ინფორმაცია ასახულია შესაბამისად.

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

*სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“  
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით  
დასრულებული წლისთვის*

|   | 2018            | 2017*          |
|---|-----------------|----------------|
| შენიშვნები  | ლარი'000        | ლარი'000       |
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან მოგება დაბეგრამდე</b>   | <b>1,128</b>    | <b>896</b>     |
| კორექტირებები:  |                 |                |
| გაუფასურების ზარალი სასესხო ფინანსურ აქტივებზე  | 10              | 601            |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი  | (7,112)         | (4,804)        |
| ცვეთა და ამორტიზაცია  | 251             | 189            |
| ბონუსის და აუდიტის ხარჯის დარიცხვა  | 318             | 295            |
| წმინდა ზარალი ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან   | 458             | 797            |
| ძირითადი საშუალებების ჩამოწერა  | 29              | -              |
| <b>(მატება) / კლება საოპერაციო აქტივებში</b>  |                 |                |
| კლიენტებზე გაცემული სესხები   | (15,364)        | (7,002)        |
| სხვა აქტივები   | 537             | 626            |
| <b>მატება / (კლება) საოპერაციო ვალდებულებებში</b>   |                 |                |
| სხვა ვალდებულებები  | (301)           | (223)          |
| <b>მოგების გადასახადის გადახდამდე, პროცენტის მიღებამდე და პროცენტის გადახდამდე საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b> | <b>(18,533)</b> | <b>(8,625)</b> |
| გადახდილი მოგების გადასახადი  | (22)            | (429)          |
| მიღებული პროცენტი   | 11,064          | 8,004          |
| გადახდილი პროცენტი  | (4,066)         | (3,439)        |
| <b>ოპერაციებში გამოყენებული ფულადი ნაკადები</b>   | <b>(11,557)</b> | <b>(4,489)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან</b>   |                 |                |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა  | (784)           | (1,045)        |
| არამატერიალური აქტივების შესყიდვა   | (149)           | (152)          |
| <b>საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული ფულადი ნაკადები</b>  | <b>(933)</b>    | <b>(1,197)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან</b>  |                 |                |
| შემოსულობა სუბორდინირებული სესხებიდან   | 3,698           | 2,676          |
| შემოსულობა სხვა ნასესხები თანხებიდან  | 69,246          | 47,608         |
| სხვა ნასესხები თანხების დაფარვა   | (61,067)        | (45,290)       |
| ამონაგები ჩვეულებრივი აქციების გამოშვებიდან   | 87              | 131            |
| ამონაგები პრივილეგირებულ აქციების გამოშვებიდან  | 1,111           | -              |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან</b>  | <b>13,075</b>   | <b>5,125</b>   |
| <b>წმინდა (კლება) / მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში</b>  | <b>585</b>      | <b>(561)</b>   |
| გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე   | 52              | (125)          |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში   | 1,134           | 1,820          |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>   | <b>1,771</b>    | <b>1,134</b>   |

\*“კომპანიამ“ თავდაპირველად ფასს 9 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. შერჩეული გადასვლის მეთოდის მიხედვით, შესაძარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული (იხ. შენიშვნა 3(e)).

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

*სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“  
საკუთარ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით  
დასრულებული წლისთვის*

| ლარი'000  | სააქციო<br>კაპიტალი | სააქციო<br>პრემია | პრივილეგირებული<br>აქციები | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ           |
|---|---------------------|-------------------|----------------------------|-------------------------|---------------|
| <b>ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის<br/>მდგომარეობით</b>                               | 2,100               | 719               | -                          | 2,009                   | 4,828         |
| <b>კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები<br/>დამფუძნებლებთან</b>                       |                     |                   |                            |                         |               |
| გამოშვებული აქციები   | 55                  | 76                | -                          | -                       | 131           |
| <b>სულ ოპერაციები დამფუძნებლებთან</b>   | <b>55</b>           | <b>76</b>         | <b>-</b>                   | <b>-</b>                | <b>131</b>    |
| <b>სულ სრული შემოსავალი</b>   |                     |                   |                            |                         |               |
| მოგება წლის განმავლობაში  | -                   | -                 | -                          | 745                     | 745           |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი წლის<br/>განმავლობაში</b>                           | <b>-</b>            | <b>-</b>          | <b>-</b>                   | <b>745</b>              | <b>745</b>    |
| <b>ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის<br/>მდგომარეობით*</b>                           | <b>2,155</b>        | <b>795</b>        | <b>-</b>                   | <b>2,754</b>            | <b>5,704</b>  |
| კორექტირება ფასს 9-ის პირველად<br>გამოყენებაზე, გადასახადების<br>გამოკლებით     | -                   | -                 | -                          | 585                     | 585           |
| <b>ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის<br/>მდგომარეობით</b>                               | <b>2,155</b>        | <b>795</b>        | <b>-</b>                   | <b>3,339</b>            | <b>6,289</b>  |
| <b>კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები<br/>დამფუძნებლებთან</b>                       |                     |                   |                            |                         |               |
| გამოშვებული ჩვეულებრივი აქციები<br>(იხ. შენიშვნა 14(a))                         | 30                  | 57                | -                          | -                       | 87            |
| გამოშვებული არა დაბრუნებადი<br>პრივილეგირებული აქციები<br>(იხ. შენიშვნა 14 (b)) | -                   | -                 | 7,347                      | -                       | 7,347         |
| <b>სულ ოპერაციები დამფუძნებლებთან</b>   | <b>30</b>           | <b>57</b>         | <b>7,347</b>               | <b>-</b>                | <b>7,434</b>  |
| <b>სულ სრული შემოსავალი</b>   |                     |                   |                            |                         |               |
| მოგება წლის განმავლობაში  | -                   | -                 | -                          | 946                     | 946           |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი წლის<br/>განმავლობაში</b>                           | <b>-</b>            | <b>-</b>          | <b>-</b>                   | <b>946</b>              | <b>946</b>    |
| <b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის<br/>მდგომარეობით</b>                            | <b>2,185</b>        | <b>852</b>        | <b>7,347</b>               | <b>4,285</b>            | <b>14,669</b> |

\*“კომპანიამ“ თავდაპირველად ფასს 9 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. შერჩეული გადასვლის მეთოდის მიხედვით, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული (იხ. შენიშვნა 3(e)).

საკუთარ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# 1 ზოგადი ინფორმაცია

## (a) ორგანიზაცია და ოპერაციები

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ („კომპანია“) საქართველოში დარეგისტრირდა სააქციო საზოგადოების სახით 2012 წლის 6 დეკემბერს. მისი ძირითადი საქმიანობა მოიცავს საკრედიტო ოპერაციებს, ფულად ოპერაციებს და ვალუტის გადაცვლის ტრანზაქციებს. „კომპანიის“ საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში „სებ“). „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია 404967078.

„კომპანია“ მიზნად ისახავს კლიენტებზე მორგებული და ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების გაწევას მიკრო და მცირე ბიზნესებსა და ფერმერებზე, თანხებზე და სასესხო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, კლიენტებთან გრძელვადიანი და გამჭირვალე ურთიერთობების შენარჩუნებას. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ როგორც ფინანსური ინსტიტუტი სოციალური პასუხისმგებლობით, მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს საქართველოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში.

„კომპანიის“ უმაღლესი მმართველი ორგანო არის აქციონერთა საერთო კრება. „კომპანიის“ საქმიანობას ზედამხედველობას უწევს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებიც შერჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ. „კომპანიის“ ყოველდღიური საქმიანობა ხორციელდება „კომპანიის“ დირექტორთა საბჭოს მიერ, რომელიც არჩეულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: ცინცაძის ქუჩა №41, თბილისი, საქართველო.

„კომპანიას“ 11 ფილიალი აქვს. მისი ყველა აქტივი და ვალდებულება საქართველოშია განლაგებული.

„კომპანიას“ სრულად ფლობენ „აქციონერთა ჯგუფის“ წევრები. არ არსებობს კომპანიის ერთპიროვნული მაკონტროლებელი მხარე. 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ აქციებს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები და შეადგენდნენ „აქციონერთა ჯგუფს“:

|                   | 31 დეკემბერი 2018                 |                                |                                    | 31 დეკემბერი 2017         |                    |
|-------------------|-----------------------------------|--------------------------------|------------------------------------|---------------------------|--------------------|
|                   | სულ                               |                                | პრივილეგირებული აქციების რაოდენობა | სულ აქციების პროცენტულობა | აქციების რაოდენობა |
|                   | ჩვეულებრივი აქციების პროცენტულობა | ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა |                                    |                           |                    |
| გია პეტრიაშვილი   | 32.8%                             | 716,000                        | 200                                | 33.2%                     | 716,000            |
| ოთარ რუხაძე       | 14.9%                             | 325,000                        | 800                                | 15.1%                     | 325,000            |
| მურმან ამბროლაძე  | 8.2%                              | 180,000                        | 100                                | 8.4%                      | 180,000            |
| თენგიზ მაზიაშვილი | 9.6%                              | 209,500                        | 250                                | 9.7%                      | 209,500            |
| ტარას ნიჟარაძე    | 8.5%                              | 186,000                        | 740                                | 8.6%                      | 186,000            |
| გოდერძი მელაძე    | 6.9%                              | 150,000                        | 300                                | 7.0%                      | 150,000            |
| გიორგი გოთოშია    | 6.9%                              | 150,000                        | 100                                | 7.0%                      | 150,000            |
| გიორგი ვაჩნაძე    | 5.7%                              | 123,500                        | 110                                | 5.7%                      | 123,500            |
| შპს „JB“          | 2.8%                              | 60,000                         | 200                                | 2.7%                      | 60,000             |
| გიორგი ღვალაძე    | 1.2%                              | 27,600                         | -                                  | 0.9%                      | 19,000             |
| ეთერ ჩაჩიბაია     | 1.5%                              | 33,000                         | -                                  | 1.0%                      | 21,000             |
| თათია ჯაჯანაშვილი | 0.6%                              | 15,000                         | -                                  | 0.7%                      | 15,000             |
| ნინო დევდარიანი   | 0.4%                              | 9,000                          | -                                  | -                         | -                  |
|                   | <b>100%</b>                       | <b>2,184,600</b>               | <b>2,800</b>                       | <b>100%</b>               | <b>2,155,000</b>   |

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-18 შენიშვნაში.

**(b) ბიზნეს გარემო**

**საქართველოს ბიზნეს გარემო**

„კომპანია“ საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად, მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „კომპანიის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

**2 მომზადების საფუძვლები**

**(a) შესაბამისობა**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ეს არის „კომპანიის“ პირველი ფინანსური ანგარიშგება, სადაც გამოყენებულ იქნა ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები და ფასს 15 *ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკაში იხილეთ შენიშვნა 2(e)-ში.

**(b) შეფასების საფუძველი**

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

**(c) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა**

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტას. ის ასახავს ძირითადი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს.

ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

ლარში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

**(d) შეფასებების და დაშვებების გამოყენება**

ფასს-ებთან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენებას, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

## **შეფასებები**

ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში მოცემულია ინფორმაცია იმ შეფასებებზე, რომლებიც გაკეთდა ფინანსური აღრიცხვის გამოყენებისას და რასაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ოდენობებზე:

- მხოლოდ 2018 წლისათვის
  - ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია: ბიზნეს მოდელის შეფასება, რომლის ფარგლებშიც განიხილება აქტივი და რამდენად წარმოადგენს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (იხ. შენიშვნა 3(e)(i)).
  - კრიტერიუმის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს რამდენად მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი პირველადი აღიარების შემდგომ, იმ მეთოდოლოგიის დადგენა, რომლითაც ხდება სამომავლო ინფორმაციის გათვალისწინება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად და ამისთვის შესაბამისი მოდელების შერჩევა და დამტკიცება (იხ. შენიშვნა 4).

## **დაშვებების და ვარაუდების უზუსტობა**

ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში მოცემულია ინფორმაცია შეფასებების და დაშვებების განუსაზღვრელობაზე, რამაც გაზარდა 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს არსებითი ცვლილებების განხორციელების ალბათობა:

- მხოლოდ 2018 წლისათვის
  - ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელის მონაცემების განსაზღვრა, მათ შორის სამომავლო ინფორმაციის ჩართვა (შენიშვნა 4).
- 2018 და 2017 წლებისთვის
  - კლიენტებზე გაცემული სესხები: გაუფასურების რეზერვის შეფასება (შენიშვნა 3 (e)(iv)).

## **(e) ცვლილებები საანგარიშგებო პოლიტიკასა და წარდგენის წესში**

„კომპანია“ თავდაპირველად ფასს 9 და ფასს 15 2018 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა.

რიგი სხვა ახალი სტანდარტებიც შევიდა ძალაში 2018 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არ იქონიეს არსებითი გავლენა „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

„კომპანიის“ მიერ ფასს 9-ის დანერგვისას შერჩეული გადასვლის მეთოდებიდან გამომდინარე, შესაძარის ინფორმაცია მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებებში არ არის გადაანგარიშებული ახალი სტანდარტების მოთხოვნების ასახვის მიზნით.

მოცემული სტანდარტების თავდაპირველი დანერგვის გავლენა ძირითადად აისახება შემდეგზე:

- ფინანსურ აქტივებზე აღიარებული გაუფასურების ზარალის შემცირება (იხ. შენიშვნა 5);
- ფასს 9-თან დაკავშირებული დამატებითი განმარტებითი შენიშვნები (იხ. შენიშვნა 4 და 5).

### **A. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები**

ფასს 9 აწესებს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების, და ზოგიერთი არაფინანსური აქტივების შესყიდვა/გაყიდვის ხელშეკრულებების, აღიარების და შეფასების მოთხოვნებს. ეს სტანდარტი ანაცვლებს ბასს 39-ს *ფინანსური ინსტრუმენტები აღიარება და შეფასება*. ფასს 9-ის მოთხოვნები არსებითად განსხვავდება ბასს 39-ის მოთხოვნებისაგან. ახალ სტანდარტს შემოაქვს ძირეული ცვლილებები ფინანსური აქტივების აღრიცხვაში და გარკვეული ასპექტებით ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვაში.

ფასს 9-ის დანერგვის შედეგად, „კომპანია“ შესაბამისი კორექტირებები შეიტანა ბასს 1-ში ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. ეს კორექტირება მოითხოვს, რომ ეფექტური პროცენტის მეთოდით შეფასებული საპროცენტო შემოსავალი მოგება ან ზარალის უწყისში და სხვა სრულ შემოსავალში ასახული იყოს ცალკე კატეგორიად. ადრე „კომპანიის“ მიდგომა იყო ამ ოდენობის ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ასახვა.

დამატებით, „კომპანია“ იყენებს შესაბამის კორექტირებებს ფასს 7 ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები-ზე, რომლებიც გამოიყენება 2018 წლის განმარტებით შენიშვნებში, მაგრამ არ იყო გამოყენებული შესადარის ინფორმაციაზე.

ფასს 9-ის დანერგვიდან წარმოშობილი მთავარი ცვლილებები „კომპანიის“ სააღრიცხვო პოლიტიკებში შეჯამებულია ქვემოთ.

### **ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია**

ფასს 9 მოიცავს სამ ძირითად კლასიფიკაციის კატეგორიას ფინანსური აქტივებისათვის: ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული (FVOCI) და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული (FVTPL). ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ძირითადად დაფუძნებულია იმ ბიზნეს მოდელზე რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივის სამართავად და მის სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე. ფასს 9 აუქმებს ბასს 39 -ს დროს გამოყენებულ კატეგორიებს როგორცაა დაფარვის ვადამდე ფლობილი, სესხები და მოთხოვნები და გასაყიდად არსებული. ფასს 9-ის მიხედვით, ხელშეკრულებებში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები, რომლის საგანსაც ფინანსური აქტივი წარმოადგენს, სტანდარტის მიზნებისთვის არ განცალკევდება. ნაცვლად ამისა, კლასიფიკაციის მიზნებისათვის ფასდება ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი როგორც ერთი მთლიანობა. ახსნა-განმარტება თუ როგორ აკლასიფიცირებს „კომპანია“ ფინანსურ აქტივებს ფასს 9-ის მიხედვით, იხილეთ შენიშვნა 3(e)(i).

ფასს 9 ძირითადად ინარჩუნებს ბასს 39-ში არსებულ მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. თუმცა, თუ ბასს 39-ის გამოყენებისას სამართლიანი ღირებულებით განსასაზღვრი ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ყველა ცვლილება აღიარებული იყო მოგებაში ან ზარალში, ფასს 9-ის მიხედვით სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- ვალდებულების საკრედიტო რისკზე მიკუთვნებადი სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა აისახება სხვა სრულ შემოსავალში; და
- სამართლიანი ღირებულების ცვლილების დარჩენილი ოდენობა ასახულია მოგებაში ან ზარალში.

ახსნა-განმარტება თუ როგორ აკლასიფიცირებს „კომპანია“ ფინანსურ ვალდებულებებს ფასს 9-ის მიხედვით, იხილეთ შენიშვნა 3(e)(i) -ში.

### **ფინანსური აქტივების გაუფასურება**

ფასს 9 ანაცვლებს ბასს 39-ის „გაწეული ზარალი“-ს მოდელს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“-ს მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ასევე ვრცელდება კონკრეტულ სასესხო ვალდებულებებზე და ფინანსური უზრუნველყოფის ხელშეკრულებებზე, მაგრამ არა კაპიტალის ინვესტიციებზე.

ფასს 9-ის მიხედვით, საკრედიტო ზარალი აღიარდება უფრო ადრე ვიდრე ბასს 39-ის გამოყენებისას. ახსნა-განმარტებისთვის თუ როგორ იყენებს „კომპანია“ ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნებს იხ. შენიშვნა 3(e)(iv).



### **გადასვლა**

ფასს 9-ის დანერგვისგან გამოწვეული ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში ასახული იყო რეტროსპექტულად, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- შესადარისი პერიოდები არ არის გადაანგარიშებული. ფასს 9-ის დანერგვის შედეგად წარმოშობილი ცვლილებები ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში აღიარებულია გაუნაწილებელ მოგებაში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ინფორმაცია არ ასახავს ფასს 9-ის მოთხოვნებს და მამასადამე არ არის შესადარისი 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილ ინფორმაციაზე ფასს 9-ის მიხედვით.

„კომპანია“ გამოიყენა შესადარისი პერიოდების გადაანგარიშებისგან გათავისუფლება, მაგრამ გავითვალისწინოთ რა, რომ ბასს 1-თან მიმართებაში ფასს 9-ის მიერ გაკეთებულმა კორექტირებებმა შემოიტანა „საპროცენტო შემოსავალი დაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით“-ის მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში ცალკე ერთეულად ასახვის მოთხოვნა, „კომპანია“ შეცვალა 2017 წელში ერთეულად ასახული „საპროცენტო შემოსავალი“ შემდეგნაირად: „ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი“.

- შემდგომი შეფასება გაკეთებულია პირველადი გამოყენებისას არსებული ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით.

– იმ ბიზნეს მოდელის დადგენა რომლის ფარგლებშიც განიხილება ფინანსური აქტივი.

ფასს 9-ის დანერგვით გამოწვეულ ცვლილებებზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

### **B. ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**

ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრისთვის თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. მან ჩაანაცვლა ბასს 18 *შემოსავალი*, ბასს 11 *სამშენებლო ხელშეკრულებები* და *ამასთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებები*.

„კომპანია“ დაიწყო ფასს 15-ის გამოყენება კუმულაციური ეფექტის მეთოდის გამოყენებით (პრაქტიკული მიზანშეწონილობის გარეშე), მოცემული სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების გავლენის აღიარება 2018 წლის 1 იანვარს. ფასს 15-ის გამოყენებას არ ჰქონია ზეგავლენა „კომპანიის“ კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ საკომისიო შემოსავლის დროულაზაზე და ოდენობაზე და გადასვლას არ ჰქონია გავლენა „კომპანიის“ კაპიტალზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

### **3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები**

გარდა შენიშვნა 2(ე)-ში წარდგენილი ცვლილებებისა, ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენება „კომპანიის“ მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდში.

#### **(a) უცხოური ვალუტა**

##### **(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება შესაბამის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების დღეს კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში, ამ თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ფულად-საკრედიტო ერთეულებზე კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი წარმოადგენს, სამუშაო ვალუტაში აღრიცხულ და პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტით და გადახდებით დაკორექტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული იმ ამორტიზირებულ ღირებულების შორის სხვაობას, რომელიც კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში, პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები, რომლებიც ისტორიული ღირებულებით ფასდება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

ვალუტის კონვერტირებით გამოწვეული სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

#### **(b) პროცენტი**

##### **2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა**

##### **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი**

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდით. „ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ მოხმარების ვადაზე:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას, გარდა შეძენილი ან შექმნილი კრედიტით გაუფასურებული აქტივებისა, „კომპანია“ ვარაუდობს სამომავლო ფულად ნაკადებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით, მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა. შეძენილი ან შექმნილი კრედიტით გაუფასურებულ ფინანსური აქტივებისთვის, გამოითვლება კრედიტით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების გამოყენებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ჩათვლით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლა მოიცავს გარიგების ხარჯებს და გადახდილ ან მიღებულ ქულებს რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. გარიგების ხარჯები მოიცავს ზრდად ხარჯებს რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეძენას ან გამოშვებას.

**ამორტიზირებული ღირებულება და მთლიანი საბალანსო ღირებულება**

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების „ამორტიზირებული ღირებულება“ არის ღირებულება, რომლითაც ფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, გამოკლებული ძირითადი გადასახდელი თანხები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია, დათვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერი სხვაობის თავდაპირველი ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის, და ფინანსური აქტივებისთვის, დაკორექტირებული ნებისმიერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით (ან გაუფასურების რეზერვით 2018 წლის 1 იანვრამდე).

„ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება“ აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით არის ფინანსური აქტივის ამორტიზირებული ღირებულება ნებისმიერი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვით დაკორექტირებამდე.

**საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის გამოთვლა**

ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ანგარიშდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას. საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის დაანგარიშებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული კრედიტით) ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გადაიხედება ცვლად საპროცენტო განაკვეთიანი ფულადი ნაკადების პერიოდული ხელახალი შეფასების შედეგად, რათა აისახოს მოძრაობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთში.

თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა კრედიტით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი არ არის კრედიტით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უზრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის პრინციპს.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას იყო კრედიტით გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება კრედიტით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. საპროცენტო შემოსავლის გამოთვლის მეთოდი არ უზრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის პრინციპს, მიუხედავად აქტივის საკრედიტო რისკის აღდგენისა.

ინფორმაციისთვის, როდის არის ფინანსური აქტივები გაუფასურებული კრედიტით, იხ. შენიშვნა 3 (e)(iv).

**წარდგენა**

მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე პროცენტს.

მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი საპროცენტო ხარჯი მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებზე პროცენტს.

**2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა**

**ეფექტური საპროცენტო განაკვეთი**

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იყო განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებდა მოსალოდნელ მომავალ ფულად გადახდებს და

შემოსულობებს, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი მომსახურების ვადის მიხედვით (ან, სადაც მიზანშეწონილია, უფრო ნაკლები ვადით), ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დათვლისას, „კომპანია“ ვარაუდობდა მომავალ ფულად ნაკადებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით, მაგრამ არა მომავალ საკრედიტო ზარალს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლა მოიცავდა გარიგების ხარჯებს და გადახდილ ან მიღებულ ქულებს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. გარიგების ხარჯები მოიცავდა ზრდად ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნებოდა ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეძენას ან გამოშვებას.

### **წარდგენა**

მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ პროცენტს ფინანსურ აქტივებზე.

მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი, საპროცენტო ხარჯი მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

## **(c) საკომისიოები**

საკომისიო ხარჯი და შემოსავალი ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და შედის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში (იხ. შენიშვნა 3(b)).

მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც იწვევს „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური ინსტრუმენტის აღიარებას, შეიძლება ნაწილობრივ ესადაგებოდეს ფასს 9 და ნაწილობრივ ფასს 15-ი. ამ შემთხვევაში „კომპანია“ ჯერ იყენებს ფასს 9-ს, რომ დაყოს და აღრიცხოს ხელშეკრულების ის ნაწილი რომელიც ფასს 9-ს მიეკუთვნება და შემდეგ დარჩენილ ნაწილზე იყენებს ფასს 15-ს.

სხვა საკომისიო ხარჯები ძირითადად უკავშირდება გარიგებების და მომსახურების საკომისიოს, და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე.

საკომისიო შემოსავალი, წარმოდგენილი მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მოიცავს გვიან გადახდების საკომისიოებს 1,260 ათასი ლარის ოდენობით 2018 წლის განმავლობაში (795 ათასი ლარი - 2017 წლის განმავლობაში) და სხვა საკომისიოებს 34 ათასი ლარის ოდენობით 2018 წლის განმავლობაში (35 ათასი ლარი - 2017 წლის განმავლობაში).

## **(d) დაბეგვრა**

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ ნაწილისა, რომელიც უკავშირდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში ასახულ გარიგებებს აქციონერებთან ერთეულებს, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

### **(i) მიმდინარე გადასახადი**

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი დაზუსტება. მიმდინარე გადასახადის ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან გამომდინარე ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია 2016 წლიდან და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადადის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმდებარე მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და ზღვარ გადაცილებულ წარმომადგენლობით ხარჯებს.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის დღისა ან იმ პერიოდისა, რომლის დროსაც ხდება დივიდენდების გადახდა.

**(ii) გადავადებული გადასახადი**

გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება დროებით სხვაობებთან მიმართებაში, ფინანსური ანგარიშგების მიზნით, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და, საგადასახადო მიზნით, გამოყენებულ თანხებს შორის

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება გამოუყენებელი საგადასახადო ზარალებთან, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებსა და დაქვითვად დროებით სხვაობებთან მიმართებაში იმის გათვალისწინებით, რომ სავარაუდოდ ხელმისაწვდომი იქნება მომავალი დასაბეგრი მოგება, რომელთან მიმართებაშიც შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება. მომავალი დასაბეგრი მოგება განისაზღვრება შესაბამისი დასაბეგრი დროებითი სხვაობების აღდგენის საფუძველზე. თუ დასაბეგრი დროებითი სხვაობების თანხა არასაკმარისია გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად აღიარებისთვის, არსებული დროებითი სხვაობების აღდგენაზე მორგებული მომავალი დასაბეგრი მოგება განისაზღვრება „კომპანიის“ ბიზნეს გეგმის საფუძველზე. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაიხდება ყველა საანგარიშგებო თარიღში და მცირდება იმის გათვალისწინებით, რომ აღარ იქნება შესაძლებელი შესაბამისი საგადასახადო სარგებლის რეალიზაცია; ამგვარი შემცირებები აღდგება მომავალი საგადასახადო მოგების შესაძლებლობის გაუმჯობესების შემთხვევაში.

არაღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები განმეორებით ფასდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში და აღიარდება იმ ოდენობით რომელიც მომავალ სავარაუდო მოგებებს შეესაბამება, რომელთან მიმართებაშიც შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება.

გადავადებული გადასახადი ფასდება საგადასახადო განაკვეთით, რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია დროებით სხვაობებთან მიმართებაში, როცა ისინი აღდგება, ანგარიშგების თარიღისთვის ძალაში შესული ან შემდგომში ამოქმედებულ კანონმდებლობის საფუძველზე.

გადავადებული გადასახადის შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებიც ითვალისწინებს „კომპანიის“ მოლოდინებს, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღადგინოს ან დაფაროს მისი აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება, თუ არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვის სამართლებრივი უფლება და ისინი უკავშირდება იგივე საგადასახადო უწყების მიერ იგივე დაბეგვრის საწარმოზე დაკისრებულ მოგების გადასახადებს, ან სხვადასხვა დაბეგვრის საწარმოზე დაკისრებულ მოგების გადასახადს, სადაც არის განსაზღვრა რომ მოხდეს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების ანგარიშსწორება ნეტო საფუძველზე, ან მათი საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ერთდროულად რეალიზდება.

მიმდინარე და გადავადებული გადასახადების თანხის განსაზღვრისას, „კომპანია“ ითვალისწინებს გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების გავლენას და იმას, არის თუ არა გადასახდელი დამატებით გადასახადები, ჯარიმები და პროცენტი დაგვიანებულ გადახდებზე. „კომპანია“ სჯერა, რომ მისი დარიცხვები საგადასახადო ვალდებულებებზე ადეკვატურია ყველა ღია საგადასახადო წლისთვის, მის მიერ მრავალი ფაქტორის შეფასების, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტირების და განვლილი გამოცდილების საფუძველზე. ეს შეფასება ეყრდნობა დაშვებასა და ვარაუდებს და მან შეიძლება მოიცვას მომავალი მოვლენების შესახებ მსჯელობების მთელი სპექტრი. შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს ახალი ინფორმაცია, რომელიც „კომპანიას“ აიძულებს შეცვალოს მისი მსჯელობა არსებული საგადასახადო ვალდებულებების ადეკვატურობასთან დაკავშირებით; საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ამგვარი ცვლილებები გავლენას იქონიებს საგადასახადო ხარჯზე ამგვარი განსაზღვრების გაკეთების პერიოდში.

გადავადებული გადასახადის თანხა ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების რეალიზაციის ან დაფარვის მოსალოდნელ ფორმას 2023 წლის 1 იანვრამდე, საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული ან არსებითად ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა, რომ მომავალი დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება 2023 წლის 1 იანვრამდე, რომელთან მიმართებაშიც გამოყენებული იქნება დროებითი სხვაობები, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალები და კრედიტები. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაიხედება ყოველ საანგარიშგებო პერიოდში და მცირდება იმ შემთხვევაში, თუ აღარაა მოსალოდნელი საგადასახადო სარგებლის გამოყენება.

ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ აღარ ექნებათ სხვაობები აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის და, შესაბამისად, არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

## **(e) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები**

### **(i) კლასიფიკაცია**

#### ***ფინანსური აქტივები – 2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა***

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი სახსრების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ვალის ინსტრუმენტი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი სახსრების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღრიცხული სასესხო ფინანსური აქტივებისთვის, მოგება და ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა, რომლებიც აღიარდება მოგებაში ან ზარალში ისევე როგორც ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები:

- საპროცენტო შემოსავალი ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით;
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღდგენები; და
- უცხოური გაცვლითი კურსიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი.

როდესაც სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღრიცხული სასესხო ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, კუმულაციური მოგება ან ზარალი ადრე აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში, რეკლასიფიცირებულია კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

დამატებით, პირველადი აღიარებისას, “კომპანიას” შეუძლია შეუქცევადი წესით განსაზღვროს ფინანსური აქტივი რომელიც აკმაყოფილებს ამორტიზირებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით აღრიცხვის მოთხოვნებს, თუ ეს მნიშვნელოვნად დასწევს ან გააწულებს სააღრიცხვო შეუსაბამობას რაც სხვა შემთხვევაში წარმოიშვება.

### **ბიზნეს მოდელის შეფასება**

„კომპანია“ აფასებს თუ რა ამოცანებს ისახავს თითოეული ბიზნეს მოდელი რომლის ფარგლებშიც ხდება ფინანსური აქტივების პორტფელის მართვა, რადგან ეს ასახავს ბიზნესის მართვის და ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმებს. გათვალისწინებული ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- პორტფელთან მიმართებაში არსებული ამოცანები და პოლიტიკა და ამგვარი პოლიტიკის მოქმედებას პრაქტიკაში, მათ შორის არის თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია მიმართული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ვადის ვალდებულებების ვადასთან თანხვედრაზე, რაც მოიცავს ამგვარი აქტივების დაფინანსებას ან ფულადი ნაკადების რეალიზაციას აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ ხდება პორტფელის შედეგების შეფასება და ამ შეფასებების კომუნიკაცია „კომპანიის“ ხელმძღვანელობისთვის;
- რისკები, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს მოდელის (და ამგვარ ბიზნეს მოდელში არსებული ფინანსური აქტივების) მაჩვენებლებზე და რამდენად იმართება ამგვარი რისკები;
- როგორ ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა ანაზღაურება მართვის ქვეშ არსებული აქტივების სამართლიან ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- განვილი პერიოდებში გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მომავალი სავაჭრო საქმიანობის მოლოდინები. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია სავაჭრო საქმიანობის შესახებ ცალკე არ განიხილება, ის წარმოადგენს



„კომპანიის“ შეფასების ნაწილს, თუ რამდენად არის მიღწეული ფინანსური აქტივების მართვასთან დაკავშირებით „კომპანიის“ მიერ განსაზღვრული მიზნები და რამდენად არის რეალიზებული ფულადი ნაკადები.

სავაჭროდ ხელმისაწვდომი და მართვის ქვეშ არსებული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, რადგან მათი ფლობის მიზეზი არ არის არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, და არც ფინანსური აქტივების გაყიდვა.

**შეფასება იმისა, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს**

ამ შეფასების მიზნით, ‘ძირი თანხა’ განისაზღვრება როგორც ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. ‘პროცენტი’ განისაზღვრება როგორც გასამრჯელო რაც უკავშირდება ფულის ღირებულებას დროში, კონკრეტული დროის განმავლობაში გადაუხდელი ძირი თანხის საკრედიტო რისკს და სხვა ძირითად საკრედიტო რისკებს და ხარჯებს (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოგების მარჯას.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხებისა და პროცენტის გადახდებს, „კომპანია“ ითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს ასევე გულისხმობს შეფასებას იმისა, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომელმაც შესაძლოა ისეთი ფორმით შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი სახსრების ვადები ან თანხა, რომ ის აღარ დააკმაყოფილებს მოცემულ პირობას. შეფასების განხორციელებისას, „კომპანია“ ითვალისწინებს შემდეგს:

- პირობითი მოვლენები, რომლებიც შეცვლიან ფულადი ნაკადების თანხას და ვადებს;
- ლევერიჯის ფუნქციები;
- წინასწარ დაფარვისა და ვადის გახანგრძლივების პირობები;
- პირობები, რომლებიც ზღუდავენ „კომპანიის“ უფლებას მოითხოვოს ფულადი ნაკადები კონკრეტული აქტივებიდან - მაგ. აქტივების განთავსების რეგრესი; და
- ვითარებები, რომლებიც ცვლიან ფულის ღირებულება დროში გადახდებს - მაგ. საპროცენტო განაკვეთების პერიოდული ცვლილება.

**რეკლასიფიკაცია**

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ „კომპანია“ არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს.

**ფინანსური აქტივები - 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა**

„კომპანია“ აკლასიფიცირებს მის ფინანსურ აქტივებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთში:

- სესხები და მოთხოვნები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი;
- გასაყიდად არსებული; და
- სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:
  - სავაჭროდ ფლობილი;
  - შეფასებული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ ყველა ფინანსური აქტივი დაკლასიფიცირებული იყო სესხისა და მოთხოვნების კატეგორიაში. იხილეთ შენიშვნა 5.

### **ფინანსური ვალდებულებები**

„კომპანია“ აკლასიფიცირებს მის ფინანსურ ვალდებულებებს, ფინანსური უზრუნველყოფის გარდა, ისევე როგორც აღრიცხავს - ამორტიზირებული ღირებულებით. იხილეთ შენიშვნა 5.

### **რეკლასიფიკაცია**

ფინანსური ვალდებულებები არ რეკლასიფიცირდება პირველადი აღიარების შემდგომ.

### **(ii) აღიარების შეწყვეტა**

#### **ფინანსური აქტივები**

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო უფლებებს, რომელშიც თითქმის ყველა რისკი და აქტივის ფლობის ანაზღაურება მოიაზრება, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და „კომპანია“ არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა (ან აღიარებაშეწყვეტილი აქტივის იმ ნაწილის საბალანსო ღირებულებას) და მიღებულ ჯამურ ოდენობას შორის (i) მიღებული კომპენსაციის თანხა (ნებისმიერ მიღებულ ახალ აქტივს გამოკლებული ახალი დაკისრებული ვალდებულების ჩათვლით) და (ii) ნებისმიერი კუმულაციური მოგება ან ზარალი რომელიც აღიარებულ იქნა სხვა სრულ შემოსავალში - აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

#### **ფინანსური ვალდებულებები**

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს ვადა გასდის, უქმდება ან თავისუფლდება.

### **(iii) ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კორექტირება**

#### **2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა**

#### **ფინანსური აქტივები**

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივი ჩამოიწერება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით პლიუს ნებისმიერი შესაბამისი გარიგების ხარჯებით. ნებისმიერი საკომისიოები მიღებული ფინანსური აქტივების კორექტირების დროს აღირიცხება შემდეგნაირად:

- ახალი აქტივის სამართლიანი ღირებულების დადგენისას გამოყენებული საკომისიოები და შესაბამისი გარიგების ხარჯების ასანალაურებლად მიღებული საკომისიოები ჩათვლილია აქტივის თავდაპირველ აღრიცხვაში; და
- სხვა საკომისიოები ჩათვლილია მოგებაში ან ზარალში როგორც აღიარების შეწყვეტიდან მიღებული მოგება ან ზარალი.

ფულადი ნაკადების ცვლილება, რაც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან, არ განიხილება, როგორც ცვლილება იმ შემთხვევაში, თუ გამოწვეულია არსებული სახელშეკრულებო პირობებით, მაგ. კომპანიის მიერ ინიცირებული საპროცენტო

განაკვეთების ცვლილებების შემთხვევაში რაც დამოკიდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განაკვეთის ცვლილებით, როცა სესხის ხელშეკრულება “კომპანია” ასეთ უფლებამოსილებას ანიჭებს.

“კომპანია” ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. “კომპანია” აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს “კომპანია” ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

“კომპანია” ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;

თუ ფულადი ნაკადები იცვლება როდესაც მსესხებელი ფინანსური სირთულეების წინაშეა, მაშინ კორექტირების მიზანი როგორც წესი არის საწყისი სახელშეკრულებო პირობების აღდგენა და არა ახალი აქტივის წარმოქმნა არსებითად სხვა პირობებზე. თუ “კომპანია” ფინანსური აქტივის ისეთ კორექტირებას გეგმავს რაც ფულადი ნაკადების პატიებას გამოიწვევს, მაშინ ის თავდაპირველად აფასებს შესაძლებელია თუ არა აქტივის რაღაც ნაწილის ჩამოწერა მანამ სანამ კორექტირებას ექნება ადგილი (იხილეთ ქვემოთ ჩამოწერის პოლიტიკები). ეს მიდგომა გავლენას ახდენს ხარისხობრივი შეფასების შედეგებზე და ნიშნავს, რომ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმები არ არის დაკმაყოფილებული (როგორც წესი ესეთ შემთხვევებში). “კომპანია” შემდგომ ახორციელებს კორექტირების არსებითობის ხარისხობრივ შეფასებას.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივის კორექტირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ “კომპანია” პირველ რიგში ხელახლა ითვლის ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და აღიარებს საბოლოო კორექტირებას როგორც მოგების ან ზარალის ცვლილებას მოგებაში ან ზარალში. კორექტირებისას გაწეული ან მიღებული ნებისმიერი საკომისიო აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია კორექტირებული ფინანსური აქტივის დარჩენილ ვადაზე.

თუ ეს კორექტირება გამოწვეულია მსესხებელის ფინანსური სირთულეების გამო (იხ. შენიშვნა 3(e)(iv)), მაშინ მოგება ან ზარალი წარმოდგენილია გაუფასურების ზარალთან ერთად. სხვა შემთხვევაში ის წარმოდგენილია როგორც ეფექტური პროცენტის მეთოდით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი (იხ. შენიშვნა 3(b)).

### **ფინანსური ვალდებულებები**

“კომპანია” წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილ ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი, შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება, აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, სხვაობა განულებული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილ პირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადახდილი ოდენობა მოიცავს არაფინანსური აქტივების გადაცემას, თუ ასეთს აქვს ადგილი, და ვალდებულებების აღებას, ახალი კორექტირებული ფინანსური ვალდებულების ჩათვლით.

“კომპანია” აფასებს არსებითა თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. “კომპანია” ასკვნის, რომ ცვლილება არსებითა შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების კურსის ცვლილება;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან.

თუ ფინანსური ვალდებულების კორექტირება არ მიიჩნევა როგორც აღიარების შეწყვეტა, მაშინ ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება გადაანგარიშებულია მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით და შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. მცოცავი განაკვეთის მქონე ფინანსური ვალდებულებებისთვის, საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოყენებული ცვლილებიდან მიღებული მოგების ან ზარალის დასათვლელად, კორექტირებულია ცვლილების დროს არსებული მიმდინარე საბაზრო პირობების ასახვის მიზნით. ნებისმიერი გაწეული საკომისიო ხარჯები აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ამორტიზირებულია კორექტირებული ფინანსური ვალდებულების დარჩენილ ვადაზე ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ხელახლა გამოთვლით.

### **2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა**

#### **ფინანსური აქტივები**

თუ ფინანსური აქტივის პირობები შეიცვალა, მაშინ “კომპანია”მ შეაფასა არსებითად შეიცვალა თუ არა კორექტირებული აქტივიდან მიღებული ფულადი სახსრები. თუ ფულადი სახსრები არსებითად განსხვავდებოდა, მაშინ სახელშეკრულებო უფლებები საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე მიჩნეული იყო ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, საწყის ფინანსურ აქტივს შეუწყდა აღიარება (იხ. შენიშვნა 3 (e)(ii)) და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდა სამართლიანი ღირებულებით.

თუ ფინანსური აქტივის პირობები მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო შეიცვალა და აქტივის აღიარება არ იქნა შეწყვეტილი, მაშინ აქტივის გაუფასურება აღრიცხულ იქნა ცვლილებამდე არსებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (იხ. შენიშვნა 3(e)(iv)).

#### **ფინანსური ვალდებულებები**

“კომპანია”მ შეწყვიტა ფინანსური ვალდებულების აღიარება მაშინ როდესაც შეიცვალა მისი პირობები და არსებითად განსხვავდებოდა შეცვლილი ვალდებულებიდან მიღებული ფულადი სახსრები. ამ შემთხვევაში ახალი ფინანსური ვალდებულება შეცვლილი პირობებით აღიარებულ იქნა სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა განულებული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ოდენობას შორის აღიარებულ იქნა მოგებაში ან ზარალში.

თუ ფინანსური ვალდებულების ცვლილება არ იქნა მიჩნეული როგორც აღიარების შეწყვეტა, მაშინ ნებისმიერი გაწეული საკომისიო ხარჯები აღიარებულ იქნა როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ამორტიზირებული შეცვლილი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ხელახლა გამოანგარიშებით.

(iv) გაუფასურება

იხილეთ ასევე შენიშვნა 4.

**2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა**

“კომპანია” აღიარებს ზარალის რეზერვებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- ფინანსური აქტივები რომლებიც წარმოადგენენ სასესხო ინსტრუმენტებს;
- გამოშვებულ ფინანსური უზრუნველყოფის ხელშეკრულებებს;

“კომპანია” აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღრიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებისთვისაც საკრედიტო რისკი არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ (იხ. შენიშვნა 4).

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევისაგან. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება, მიჩნეულია როგორც „1-ლი დონის“ ფინანსური ინსტრუმენტები.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში. ფინანსური ინსტრუმენტები რომლებზეც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება, მიჩნეულია როგორც „მე-2 დონის“ ფინანსური ინსტრუმენტები (თუ საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტები არ არის გაუფასურებული კრედიტით) და „მე-3 დონის“ ფინანსური ინსტრუმენტები (თუ ფინანსური ინსტრუმენტები არის კრედიტით გაუფასურებული).

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება**

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის ალბათობით შეწონილ შეფასებას და ის ფასდება შემდეგი სახით:

- *ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ გაუფასურებულ კრედიტს საანგარიშგებო თარიღისთვის:* აუნაზღაურებელი ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულება (ე.ი. სხვაობა ხელშეკრულების საფუძველზე საწარმოს მიერ მისაღებ ფულად სახსრებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის “კომპანია”);
- *ფინანსური აქტივები, რომლებიც წარმოადგენენ გაუფასურებულ კრედიტს ანგარიშგების თარიღისთვის:* სხვაობა მოსალოდნელი მომავალი ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებასა და მთლიან საბალანსო ღირებულებას შორის;
- *ფინანსური საგარანტიო კონტრაქტები; სხვაობა მოსალოდნელ მომავალ ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებასა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის “კომპანია”*

იხილეთ ასევე შენიშვნა 4.

### **რესტრუქტურულიზებული ფინანსური აქტივები**

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება მოლაპარაკებების საფუძველზე ან მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო არსებული ფინანსური აქტივი ახლით იცვლება, მაშინ კეთდება შეფასება იმისა უნდა მოხდეს თუ არა ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა (იხ. შენიშვნა 3 (e)(iii)) და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ანგარიშდება შემდეგნაირად:

- თუ მოსალოდნელი რესტრუქტურულიზაცია არ გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ შეცვლილი ფინანსური აქტივიდან მისაღები მოსალოდნელი ფულადი სახსრები ჩათვლილია მიმდინარე აქტივისგან მიღებული ფულადი დანაკლისის გაანგარიშებაში (იხ. შენიშვნა 4).
- თუ მოსალოდნელი რესტრუქტურულიზაცია გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ ახალი აქტივის მოსალოდნელი სამართლიანი ღირებულება განიხილება როგორც საბოლოო ფულადი ნაკადი არსებული ფინანსური აქტივიდან მისი აღიარების შეწყვეტის მომენტში. ეს ოდენობა ჩათვლილია მიმდინარე ფინანსური აქტივისგან მიღებულ ფულად დანაკლისში, რომელიც დისკონტირებულია მოსალოდნელი აღიარების შეწყვეტის თარიღიდან ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე არსებული ფინანსური აქტივის საწყისი ექვეტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

### **კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები**

ყოველი სააღრიცხვო პერიოდის დასაწყისში “კომპანია” აფასებს არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები („მე-3 დონის“ ფინანსური აქტივები) გაუფასურებული კრედიტით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“ როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულებანი, რომ ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“ ჩამოთვლილია ქვემოთ:

- მსესხებლის გარდაცვალება;
- სესხები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით;
- დეფოლტი, გაკოტრების იურიდიული პროცესების დაწყება (ბიზნეს მსესხებლებისთვის);
- თაღლითობა მსესხებლის მხრიდან “კომპანიასთან კომუნიკაციის მხრივ, მაგალითად:
  - ფინანსურ შედეგებზე შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდება;
- ეკონომიკურ ან ფინანსურ ზარალთან დაკავშირებული სესხის რესტრუქტურულიზაცია;

### **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენა**

ზარალის რეზერვები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგნაირად:

- *ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით:* როგორც გამოქვითვა აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

### **ჩამოწერა**

სესხები ჩამოიწერება (მთლიანად ან ნაწილობრივ) როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი ფინანსური აქტივის ნაწილობრივი ან მთლიანი აღდგენისა. ეს არის ისეთი შემთხვევა, როდესაც “კომპანია” ვარაუდობს, რომ მსესხებელს არ აქვს შესაბამისი აქტივი ან შემოსავლის წყარო, რითაც იგი უზრუნველყოფს ფულადი ნაკადების გენერირებას იმისთვის, რომ დაფაროს ჩამოწერის საგანი. აღნიშნული შეფასება ხორციელდება ინდივიდუალური აქტივების დონეზე.

ადრე ჩამოწერილი ოდენობების აღდგენა შედის „ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ზარალში“ მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

### **2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა**

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს “კომპანია” აფასებს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივები ან აქტივების ჯგუფი გაუფასურდა. ასეთი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, “კომპანია” ადგენს გაუფასურების ზარალის ოდენობას.

ფინანსური აქტივი ან ამგვარი აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა და გაუფასურების ზარალი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან ან აქტივების ჯგუფიდან მომავალში მოსალოდნელ შეფასებულ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ობიექტური მტკიცებულება იმისა რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია შეიძლება იყოს მსესხებლის დეფოლტი ან ვადაგადაცილება, სესხის პირობების დარღვევა, ფინანსური აქტივის ან აქტივთა ჯგუფის რესტრუქტურისა და პირობებზე რომლებსაც “კომპანია” სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა, ნიშნები მსესხებლის ან გამცემის ვაკოტრებისა, უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა, უზრუნველყოფის ღირებულების კლება, ან სხვა აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული დაკვირვებადი მონაცემები მაგალითად მსესხებლის გადახდის სტატუსის უარყოფითი ცვლილებები ან ეკონომიკური პირობები რომლებიც ჯგუფის დეფოლტს უკავშირდება.

#### **(i) ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები**

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები პირველ რიგში მოიცავს სესხებს და სხვა მოთხოვნებს (სესხები და მოთხოვნები). გაუფასურების შეფასების მიზნით „კომპანია“ რეგულარულად ახდენს მისი სესხების და მოთხოვნების გადახედვას.

თავდაპირველად „კომპანია“ აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად იმ სესხებისა და მოთხოვნებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია, და იმ სესხებისა და მოთხოვნებისთვის ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, რომლებიც არ არიან ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი. თუ „კომპანია“ განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული სესხების ან მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური (მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო) მტკიცებულება, ის სესხებს და მოთხოვნებს გაითვალისწინებს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე სესხებისა და მოთხოვნების ჯგუფში და კოლექტიურად შეაფასებს მათ გაუფასურებაზე. სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად ფასდებიან გაუფასურებაზე და რომლისთვისაც დადგა ან გრძელდება გაუფასურების აღიარება, არ გაითვალისწინდება გაუფასურების კოლექტიურ შეფასებაში.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ადგილი ჰქონდა სესხების ან მოთხოვნების გაუფასურების ზარალს, ზარალის თანხა ფასდება როგორც სხვაობა სესხის ან მოთხოვნის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, საგარანტიო ხელშეკრულებებიდან და უზრუნველყოფიდან ამოღებადი თანხების ჩათვლით, რომლებიც დისკონტირდება სესხის ან მოთხოვნის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და ისტორიული ზარალის გამოცდილება, რომელიც კორექტირდება მიმდინარე ეკონომიკური პირობების შესაბამისი დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასების საფუძველს იძლევა.



რიგ შემთხვევაში, სესხის ან მოთხოვნის გაუფასურების ზარალის თანხის შეფასებისთვის მოთხოვნილი დაკვირვებადი მონაცემები შესაძლოა შეზღუდული იყოს ან აღარ შეესაბამებოდეს სრულად არსებულ ვითარებებს. ეს შესაძლოა იყოს შემთხვევა, როდესაც მსესხებელს ექნება ფინანსური სირთულეები ან იარსებებს მსგავს მსესხებლებთან დაკავშირებული მცირე რაოდენობით ხელმისაწვდომი ისტორიული მონაცემები. ასეთ შემთხვევებში რაიმე სახის გაუფასურების ზარალის შესაფასებლად „კომპანია“ იყენებს მის გამოცდილებას და მსჯელობას.

სესხებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული ყველა გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და მათი აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი თანხის შემდგომი ზრდა შესაძლოა ობიექტურად უკავშირდებოდეს მოვლენას, რომელიც გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ წარმოიშობა.

თუ სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება სესხის გაუფასურების შესაბამისი რეზერვის ხარჯზე. „კომპანია“ ჩამოწერს სესხის ნაშთს (და სესხის ზარალის ნებისმიერ შესაბამის რეზერვს), როცა ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, რომ სესხები უიმედოა და როდესაც განხორციელებულია სესხის დასაბრუნებლად საჭირო ყველა საჭირო ნაბიჯი.

## **(ii) არაფინანსური აქტივები**

ყოველ ანგარიშგების დღეს „კომპანია“ აფასებს, ყველა არაფინანსური აქტივის გაუფასურების ნიშნებს გადავადებული გადასახადის გარდა. არაფინანსური აქტივების აღდგენადი თანხა წარმოადგენს უდიდესს, მათ სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასაყიდი ღირებულებას და გამოყენებით ღირებულებას შორის.

გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას მომავალი სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს სხვა აქტივებისგან დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები, აღდგენადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენად ღირებულებას.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ყველა გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება აღდგენადი თანხის განსაზღვრაში გამოყენებული შეფასებები. ნებისმიერი აღდგენილი გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც, ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით, განისაზღვრებოდა გაუფასურების ზარალის არ აღიარების შემთხვევაში.

## **(f) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში და ბანკებში შეუზღუდავ მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ ბანკნოტებს და ხურდა ფულს, რომელთა საწყისი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ამორტიზირებული ღირებულებით.

## **(g) კლიენტებზე გაცემული სესხები**

### ***2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა***

„კლიენტებზე გაცემული სესხები“-ს მუხლი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ მოხმარებლებზე გაცემულ სესხებს (იხ. შენიშვნა 3(e)(i)); ისინი თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული ზრდადი პირდაპირი გარიგების ხარჯები, და შემდგომში მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

### **2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა**

კლიენტებზე გაცემული სესხები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან ცვალებადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული მოქმედ ბაზარზე და “კომპანია” არ ისახავს მიზნად მათ დაუყოვნებლივ ან უახლოეს პერიოდში გაყიდვას.

გაცემული სესხები მოიცავს „სესხები და მოთხოვნებად“ კლასიფიცირებულ სესხებს.

კლიენტებზე გაცემული სესხები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

#### **(h) ფინანსური გარანტიები**

ფინანსური გარანტიები არის ხელშეკრულებები რომლებიც მოითხოვენ კომპანიისგან კონკრეტულ გადახდებს რათა აუნაზღაურონ მფლობელს კონკრეტული მევალის გადახდისუნარიანობით (როდესაც სესხის ინსტრუმენტის პირობების მიხედვით აუცილებელია გადახდის განხორციელება) გამოწვეული ზარალი.

გაცემული ფინანსური გარანტიები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომ, ისინი ფასდება შემდეგნაირად:

- *2018 წლის 1 იანვრიდან:* ფასს 9-ის მიხედვით დადგენილი ზარალის რეზერვსა (იხ. შენიშვნა 3(f)(iv)) და თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას (საჭიროების შემთხვევაში გამოკლებული შემოსავლის კუმულაციური ოდენობა ფასს 15-ის პრინციპების შესაბამისად), შორის უდიდესით; და
- *2018 წლის 1 იანვრამდე:* თავდაპირველი სამართლიანი ღირებულების ოდენობა ამორტიზირებული უზრუნველყოფის ან ვალდებულების მომსახურების ვადაზე და ნებისმიერი მოსალოდნელი ვალდებულების დასაკმაყოფილებელი განხორციელებული გადახდის მიმდინარე ღირებულება (როდესაც არსებობს ალბათობა ხელშეკრულების მიხედვით გადახდისა), შორის უდიდესით.

ფინანსური გარანტიებიდან წარმოშობილი ვალდებულებები შედის სხვა ვალდებულებებში.

#### **(i) ძირითადი საშუალებები**

##### **(i) საკუთრებაში არსებული აქტივები**

ძირითადი საშუალებების ერთეულები აისახება აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებული ღირებულებით.

როცა ძირითადი საშუალებები განსხვავდება სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულების სახით.

##### **(ii) ცვეთა**

ცვეთა მოგებას ან ზარალს წრფივი მეთოდის გამოყენებით ირიცხება, ინდივიდუალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება შესყიდვის დღეს ან, ორგანიზაციის შიგნით შექმნილი აქტივებისთვის, იმ დღეს, როდესაც აქტივი დასრულდება და მოხმარებისთვის მზად იქნება. მიწას ცვეთა არ ერიცხება. მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადებია:

- |                                      |            |
|--------------------------------------|------------|
| - შენობა-ნაგებობები                  | 40 წელი;   |
| - ავეჯი და მოწყობილობები             | 5 წელი; და |
| - იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა | 7 წელი.    |

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და აუცილებლობის შემთხვევაში კორექტირდება.

**(j) არამატერიალური აქტივები**

შეძენილი არამატერიალური აქტივები წარდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელს შეადგენს.

**(k) სააქციო კაპიტალი**

**(i) ჩვეულებრივი აქციები**

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული ზრდადი ხარჯები გამოიქვითება კაპიტალიდან დაქვითვის სახით, ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის გამოკლებით.

**(ii) პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი**

პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი რომელიც არის არადაბრუნებადი, დისკრეციული დივიდენდებით, კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

**(iii) დივიდენდები**

„კომპანიის“ მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო წესებსა და რეგულაციებს.

ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება გაუნაწილებელი მოგების განაწილების სახით, მათი გამოცხადების პერიოდში.

პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება გაუნაწილებელი მოგების განაწილების სახით, როდესაც მათი დამტკიცება ხდება წლიური საერთო კრების მიერ ყოველ მოცემულ წელიწადს.

**(iv) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის პრინციპი**

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა “კომპანიას” და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ასახავს შეუსრულებლობის რისკს.

როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას “კომპანია” განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასი არ არსებობს, “კომპანია” სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში.

თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის სამართლიანი ღირებულება. თუ “კომპანია” გადაწყვეტს, რომ

სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან, და სამართლიანი ღირებულება არ დასტურდება იდენტურ აქტივზე ან ვალდებულებაზე მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობით. ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა შემდეგ სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან გარიგება დაიხურება.

### **(l) შესადარისი ინფორმაცია**

ფასს 9-ის დანერგვის შედეგად “კომპანია” შეცვალა ზოგიერთი მუხლის წარდგენა ფინანსური ანგარიშგების პირველად ფორმებში. შესადარისი ინფორმაცია რეკლასიფიცირებული, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე წარდგენაში ცვლილებებს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენაში ძირითადი ცვლილებების გავლენა აღწერილია მე-5 შენიშვნაში.

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენაში ძირითადი ცვლილებების გავლენა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

- „საპროცენტო შემოსავალი“ სახელი შეიცვალა შემდეგნაირად - „ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი“;
- „გაუფასურების ზარალი“ სახელი შეიცვალა, როგორც „გაუფასურების ზარალი სასესხო ფინანსურ აქტივებზე“.

### **(m) გამოცემული, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესული სტანდარტები**

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები და კორექტირებები სტანდარტებში, რომლებიც 2019 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (უფრო ადრეული მიღებაც ნებადართულია). თუმცა “კომპანიას” ჯერ არ ჰქონდა ეს ცვლილებები მიღებული ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, ფასს 9-ის კორექტირების გარდა, რომელმაც გავლენა იქონია უარყოფითი ანაზღაურების მქონე წინასწარი გადახდების მახასიათებლებზე 2017 წლის ოქტომბერში.

#### **ფასს 16 - იჯარა**

ფასს 16 ჩანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს: ბასს 17 (იჯარები), ფასიკ 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმკ 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას).

სტანდარტი მოქმედებს ყოველწლიურ პერიოდებზე 2019 წლის 1 იანვრიდან. ადრეული მიღებაც ნებადართულია საწარმოებისთვის რომლებიც იყენებენ ფასს 15-ს ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენებისას ან მანამდე.

ფასს 16-ს შემოაქვს ერთიანი, საბალანსო იჯარების აღრიცხვის მოდელი მოიჯარეებისთვის. მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით რაც ასახავს მის უფლებას გამოიყენოს ეს აქტივი და საიჯარო ვალდებულებას რაც ასახავს მის ვალდებულებას განახორციელოს საიჯარო გადახდები. არსებობს აღიარებისგან გათავისუფლებაც, მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების მქონე ერთეულებისთვის. მეიჯარეს ანგარიშგება რჩება მსგავსი მიმდინარე სტანდარტისა - ანუ მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას.

“კომპანია” დაასრულა მის ფინანსურ ანგარიშგებებზე პოტენციური გავლენის თავდაპირველი შეფასება, მაგრამ ჯერ არ დაუსრულებია დეტალური შეფასება. ფასს 16-ის ფაქტიური გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე მისი თავდაპირველი გამოყენებისას დამოკიდებულია მომავალ ეკონომიკურ პირობებზე, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის სესხის აღების განაკვეთის, მოცემული თარიღისთვის კომპანიის საიჯარო პორტფელის შემადგენლობის, კომპანიის უკანასკნელი შეფასების იმისა ექნება თუ არა მას რაიმე იჯარის განახლების შესაძლებლობა და რა დონეზე გადაწყვეტს “კომპანია” გამოიყენოს პრაქტიკული მიზანშეწონილობა და აღიარების გამონაკლისები.

აქამდე, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვლენილი ზეგავლენა არის ის, რომ “კომპანია” აღიარებს ახალ აქტივებს და ვალდებულებებს კომპანიის საოფისე შენობების საოპერაციო იჯარებზე. “კომპანია” აფასებს ფასს 16-ის პოტენციურ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. წინასწარი შეფასების საფუძველზე ფასს 16-ის გამოყენებას არსებითი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

დამატებით, მოცემულ იჯარებთან დაკავშირებული ხარჯების მახასიათებლები შეიცვლება რადგან ფასს 16 ანაცვლებს წრფივ საოპერაციო იჯარის ხარჯს, გამოყენების უფლებით აქტივებზე ცვეთის დარიცხვით და საიჯარო ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯით.

#### ***i. გადასვლა***

როგორც მოიჯარეს “კომპანიას” შეუძლია გამოიყენოს სტანდარტი:

- რეტროსპექტული მიდგომით; ან
- მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენების საშუალებით.

მოიჯარე აკეთებს არჩევანს თანმიმდევრულად ყველა იჯარისთვის.

“კომპანია” ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენებას გეგმავს 2019 წლის 1 იანვარს, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. მაშასადამე, ფასს 16-ის დანერგვის კუმულაციური გავლენა აღიარებულ იქნება როგორც გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშების გარეშე.

ბასს 17-ის მიხედვით საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებულ იჯარებზე მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებისას, მოიჯარეს შეუძლია აირჩიოს თითოეული იჯარის დონეზე, გამოიყენოს თუ არა პრაქტიკული მიზანშეწონილობა გადასვლაზე. “კომპანია” აფასებს პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენების პოტენციურ ზეგავლენას.

“კომპანია” არ არის ვალდებული გააკეთოს იმ იჯარების კორექტირებები რომლებშიც ის არის მეიჯარე, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ის არის შუამავალი მეიჯარე ქვე-იჯარაში.

#### **სხვა სტანდარტები**

არ არის მოსალოდნელი რომ ქვემოთ მოყვანილ კორექტირებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებს ექნებათ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე:

- ფასიკ 23 გაურკვეველობა საგადასახადო მიდგომებში
- „გრძელვადიანი პროცენტები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ (ბასს 28-ის კორექტირებები);
- *გეგმის კორექტირება, შემცირება ან გაქვითვა (ბასს 19-ის კორექტირებები);*
- ფასს-ების ყოველწლიური გაუმჯობესებები 2015-2017 ციკლი - სხვადასხვა სტანდარტები;
- *კორექტირებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებებში.*

## 4 ფინანსური რისკის მიმოხილვა

ეს შენიშვნა ასახავს ინფორმაციას კომპანიის ფინანსურ რისკებზე დაქვემდებარების შესახებ. კომპანიის ფინანსური რისკების მართვის სტრუქტურაზე ინფორმაციისთვის, იხ შენიშვნა 15.

**საკრედიტო რისკი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან წარმოშობილი თანხები გაუფასურების დასადგენად გამოყენებული მონაცემები, ვარაუდები და მეთოდები**

იხ. სააღრიცხვო პოლიტიკა შენიშვნა 3(f)(iv).-ში.

### **საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა**

იმის განსაზღვრისთვის, მოხდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის (დეფოლტის რისკის) თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვანი ზრდა, “კომპანია” იყენებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია არაჯეროვანი ხარჯების ან ძალისხმევის გარეშე. ასეთი მონაცემები მოიცავს ხარისხობრივ და რაოდენობრივ ინფორმაციასა და ანალიზის, რომელიც ეფუძნება კომპანიის ისტორიულ გამოცდილებას, კრედიტის საექსპერტო შეფასებას და მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას.

“კომპანია” განსაზღვრავს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- დავალიანება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია; და
- მისი ფინანსური მაჩვენებელი გაუარესებულია და დაქვემდებარება რესტრუქტურირებულა;

### **დეფოლტის ალბათობის მაჩვენებლების ვადიანობის განსაზღვრა**

კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხების დეფოლტის ალბათობის მოდელირება ეფუძნება კოლექტიური ანალიზის მეთოდს თითოეული სესხის სეგმენტისთვის ცალ-ცალკე. დეფოლტის განმარტების მიხედვით, დეფოლტის ალბათობა დაფუძნებულია ისტორიულ ყოველთვიურ მიგრაციის ანალიზზე გასული 5 წლის სეგმენტებში დეფოლტის შესაბამისად.

### **დადგენა არსებითად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი**

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის “კომპანია” აფასებს არსებითად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ. არსებითის მნიშვნელობა განსხვავებულია სესხების გაცემის სხვადასხვა ტიპებისთვის.

“კომპანიას” შემუშავებული აქვს სტრუქტურა რომელიც მოიცავს „backstop“ ინდიკატორებს ვადაგადაცილების და ხარისხობრივი ინფორმაციის მიხედვით, იმის დასადგენად არსებითად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი. სტრუქტურა შეესაბამება კომპანიის შიდა საკრედიტო რისკის მართვის პროცესებს. საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დადგენის კრიტერიუმები განსხვავდება პორტფელების მიხედვით და მოიცავს ვადაგადაცილებაზე დაფუძნებულ „backstop“-ს. ზოგიერთ შემთხვევაში, ექსპერტების საკრედიტო შეფასების და შესაძლებლობის ფარგლებში ისტორიული გამოცდილების გამოყენებით, “კომპანიამ” შეიძლება დაასკვნას, რომ დაქვემდებარებამ განიცადა არსებითი საკრედიტო რისკის ზრდა თუ კონკრეტული ხარისხობრივი ფაქტორები მიაწინებენ ამაზე და ეს ინდიკატორები შეიძლება სრულად და დროულად არ იყოს ასახული „backstop“ ინდიკატორების მიერ.

ქვემოთ მოცემულია საკრედიტო რისკის ზრდის მაჩვენებლები:

- სესხი 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია;
- დაქვემდებარებების რესტრუქტურირაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ და ფინანსურ დანაკარგებთან;

- მსესხებლის მიერ სამსახურის დაკარგვა;
- მსესხებელი არ იმყოფება სამუშაოსთვის შესაბამის მდგომარეობაში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;
- თაღლითობა არის აღმოჩენილი მსესხებლის ბიზნესში;

“backstop”-ად “კომპანია” მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა ხდება არა უგვიანეს აქტივის 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში. ვადაგადაცილების დღეები ითვლება ყველაზე პირველი ვადაგადაცილების თარიღიდან, როდესაც მთლიანი გადახდა არ იქნა მიღებული.

თუ არსებობს საფუძველი იმისა, რომ აღარ არსებობს საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა თავდაპირველ აღიარებასთან მიმართებაში, მაშინ საკრედიტო ზარალი ინსტრუმენტზე უზრუნდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებიდან 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით შეფასებას.

“კომპანია” ახორციელებს საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენი კრიტერიუმების ეფექტურობის მონიტორინგს რეგულარული მიმოხილვებით რათა დაადასტუროს რომ:

- კრიტერიუმებს შეუძლიათ გამოააშკარაონ საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა მანამ სანამ ის დაექვემდებარება დეფოლტს;
- კრიტერიუმები არ შეესაბამება დროის იმ მომენტს როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული;
- საშუალო დრო აუცილებელი საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დადგენიდან დეფოლტამდე არის გონივრული;
- რისკზე დაქვემდებარება არ გადადის პირდაპირ 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან კრედიტით გაუფასურებულში; და
- არ არსებობს არანაირი უსაფუძვლო არასტაბილურობა ზარალის რეზერვში, 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან (ეტაპი 1) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალში (ეტაპი 2) გადატანებიდან.

#### *დეფოლტის განმარტება*

“კომპანია” სესხს დეფოლტირებულად განიხილავს, ერთ-ერთი შემდეგი ვითარების წარმოშობის შემთხვევაში:

- სესხები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით;
- მსესხებლის გარდაცვალება;
- გაკოტრების პროცედურების წამოწყება (იურიდიული პირების შემთხვევაში); ან
- თაღლითობა ან სხვა ფორსმაჟორული სიტუაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე.

#### *მომავალი ტენდენციების გათვალისწინება*

“კომპანია” ითვალისწინებს მომავალ ტენდენციებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ეს შეფასება დამოკიდებულია ასევე გარე ინფორმაციაზე. გარე ინფორმაცია შესაძლოა მოიცავდეს ეკონომიკურ მონაცემებს და იმ ქვეყნის სამთავრობო და საფინანსო ორგანოების მიერ გამოქვეყნებულ პროგნოზებზე რომელშიც “კომპანია” საქმიანობს, როგორცაა მაგ. საქართველოს ეროვნული ბანკი.

“კომპანია” მოახდინა საკრედიტო რისკის და საკრედიტო ზარალის საკვანძო მამოძრავებლის იდენტიფიცირება და დოკუმენტირება თითოეული ფინანსური ინსტრუმენტის პორტფელისთვის და ისტორიული მონაცემების ანალიზის გამოყენებით, ივარაუდა დამოკიდებულებები მაკროეკონომიკურ ცვლადებსა და დეფოლტის ალბათობებს შორის. საკვანძო მამოძრავებელს მშპ-ს პროგნოზები წარმოადგენს. ნავარაუდები დამოკიდებულებები საკვანძო ინდიკატორებსა და დეფოლტსა და სესხის პორტფელის ზარალის განაკვეთებს შორის, ჩამოყალიბებულ იქნა ბოლო 5 წლის ისტორიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

### *მოდIFIცირებული ფინანსური აქტივები*

სესხის სახელშეკრულებო პირობები შესაძლებელია შეიცვალოს რიგი მიზეზების გამო, როგორცაა საბაზრო პირობების ცვლილება, კლიენტების შენარჩუნება და სხვა ფაქტორები რომლებიც არ არიან დაკავშირებული კლიენტის მიმდინარე ან პოტენციურ საკრედიტო გაუარესებასთან. არსებული სესხის აღიარება, რომლის პირობებიც შეიცვალა შესაძლებელია შეწყდეს და ახალ სესხად აღიარებულ იქნას მოდიფიცირებული სესხი, სამართლიანი ღირებულებით, 3(e)(iii) შენიშვნაში მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

“კომპანია” ახდენს კლიენტებზე გაცემული სესხების პირობების ცვლილებას ფინანსური სირთულეების მქონე კლიენტებისთვის (ეგრეთ წოდებული “მოთმინების ქმედებები”), რათა გაზარდოს სესხის ამოღების შესაძლებლობები და მოახდინოს დეფოლტის რისკის მინიმიზება. კომპანიის მოთმინების პოლიტიკის მიხედვით, სესხის პირობების ცვლილება ხდება, თუ მსესხებელი დეფოლტშია, ან არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, არსებობს მონაცემები, რომ მსესხებელმა გააკეთა ყველა გონივრული ქმედება არსებული საკონტრაქტო ვალდებულების მიხედვით ვალის გასტუმრებისთვის და იგი შეძლებს განახლებული სასესხო პირობების დაკმაყოფილებას.

რესტრუქტურირებული სესხები გადატანილია მეორე ეტაპზე და გამოიყენება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

შევცვლილი პირობები როგორც წესი გულისხმობს დაფარვის ვადის გახანგრძლივებას, და საპროცენტო გადახდების განრიგის ცვლილებას.

### *მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება*

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი ცვლადი მონაცემები:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- დანაკარგები დეფოლტისას (LGD);
- დეფოლტს დაქვემდებარებული თანხა (EAD)

მოცემული პარამეტრები წარმოებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემების საფუძველზე რომლებიც სარეგულაციო მოდელებს იყენებენ. ისინი კორექტირება მომავალი ტენდენციების გათვალისწინებით ინფორმაციის ასახვის მიზნით, როგორც აღწერილია ქვემოთ.

დეფოლტის ალბათობა არის შეფასება კონკრეტული თარიღისთვის, რომელიც გამოითვლება სესხის სეგმენტების, ვადაგადაცილების ჯგუფების მიხედვით, ყოველთვიური ისტორიული მიგრაციის მიხედვით. მიგრაციის მატრიცები შემდგომ გამოყენებულია 1 წლიანი და არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობების გამოსათვლელად.

დანაკარგები დეფოლტისას არის დეფოლტის შემთხვევაში მოსალოდნელი ზარალის ოდენობა. “კომპანია” ვარაუდობს დანაკარგები დეფოლტისას პარამეტრებს დეფოლტირებული კონტრაქტების მიმართ არსებული მოთხოვნების აღდგენების განაკვეთის ისტორიის მიხედვით. აღდგენის განაკვეთები გამოითვლება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, როგორც დისკონტირების ფაქტორი.

დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD) ასახავს მოსალოდნელ დაქვემდებარებას დეფოლტის შემთხვევაში. დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები გამოითვლება კონტრაქტზე მიმდინარე დაქვემდებარების და ხელშეკრულებით ნებადართული მიმდინარე ოდენობის პოტენციური ცვლილებების მიხედვით, ამორტიზაციის და ავანსების ჩათვლით. ფინანსური აქტივის დეფოლტს დაქვემდებარება არის მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას.



რადგან პარამეტრის მოდელირება ხორციელდება კოლექტიურ საფუძველზე, ფინანსური ინსტრუმენტები დაჯგუფებულია საერთო რისკის მახასიათებლების მიხედვით, რაც მოიცავს:

- საქონლის სახეობა;
- უზრუნველყოფის სახეობა;

დაჯგუფებები ექვემდებარება რეგულარულ გადახედვას რათა უზრუნველყოფილ იქნას რომ დაქვემდებარებები ერთი ჯგუფის ფარგლებში რჩება შესაბამისად ერთგვაროვანი.

**ზარალის რეზერვი**

შემდეგი ცხრილი მოიცავს ზარალის რეზერვის შეჯერებას საწყისი ნაშთიდან საბოლოო ნაშთამდე ფინანსური ინსტრუმენტების ტიპის მიხედვით. შესადარისი ოდენობები 2017 წლისთვის წარმოადგენს საკრედიტო ზარალის რეზერვის ანგარიშს და ასახავს შეფასების პრინციპს ბასს 39-ის მიხედვით.

|  | 2018       |            |            | 2017       |            |
|--|------------|------------|------------|------------|------------|
|  | ეტაპი 1    | ეტაპი 2    | ეტაპი 3    | სულ        | სულ        |
| <b>ლარი'000</b>                        |            |            |            |            |            |
| <b>კლიენტებზე გაცემული სესხები</b>     |            |            |            |            |            |
| <b>ამორტიზირებული ღირებულებით</b>      |            |            |            |            |            |
| ნაშთი 1 იანვარს                        | 176        | 65         | 124        | 365        | 639        |
| გადასვლა ეტაპი 1-ზე                    | 2          | (2)        | -          | -          | -          |
| გადასვლა ეტაპი 2-ზე                    | (1)        | 1          | -          | -          | -          |
| გადასვლა ეტაპი 3-ზე                    | (2)        | -          | 2          | -          | -          |
| ზარალის რეზერვის წმინდა გადაანგარიშება | 450        | 79         | 31         | 560        | 743        |
| შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები      | 1,313      | -          | -          | 1,313      | -          |
| გადასვლა ეტაპი 2-ზე                    | (149)      | 149        | -          | -          | -          |
| გადასვლა ეტაპი 3-ზე                    | (835)      | -          | 835        | -          | -          |
| ჩამოწერა                               | (553)      | (114)      | (747)      | (1,414)    | (432)      |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერს</b>              | <b>401</b> | <b>178</b> | <b>245</b> | <b>824</b> | <b>950</b> |

შემდეგი ცხრილი ასახავს ზემოთ მოყვანილ ცხრილებში ასახული ოდენობების (რომლებიც აჯერებს ზარალის რეზერვების საწყის და საბოლოო ნაშთებს) შეჯერებას.

|  | კლიენტებზე გაცემული სესხები<br>ამორტიზირებული ღირებულებით |
|--|---|
| ზარალის რეზერვის წმინდა გადაანგარიშება | 560   |
| შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები      | 1,313   |
| <b>სულ</b>                             | <b>1,873</b>  |
| ადრე ჩამოწერილი ოდენობების აღდგენა     | (350)   |
| <b>სულ</b>                             | <b>1,523</b>  |

არსებითი ცვლილებები ფინანსური აქტივების პორტფელის მთლიან საბალანსო ღირებულებაში განმარტებულია ქვემოთ.

დიდი რაოდენობით სესხების ზრდამ საანგარიშგებო პერიოდში გამოიწვია სასესხო პორტფელის მთლიანი საბალანსო ღირებულების და 12 თვის საფუძველზე დათვლილი გაუფასურების რეზერვის ზრდა 38,776 ათასი და 1,313 ათასი ლარით შესაბამისად. პერიოდში დაფარული სესხების მოცულობამ შეადგინა 25,448 ათასი ლარი მასთან ერთად 12 თვის საფუძველზე დათვლილი გაუფასურების რეზერვი შემცირდა 161 ათასი ლარით.

**კრედიტის ხარისხის ანალიზი**

კლიენტებზე გაცემული კრედიტის ხარისხის ანალიზის შესახებ ინფორმაცია მოცემულია შენიშვნა 10(a)-ში. ეტაპი 1, ეტაპი 2, ეტაპი 3 - ტერმინების განმარტება იხილეთ შენიშვნა 3(f)(iv)-ში.

შემდეგი ცხრილი ასახავს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინფორმაციას კლიენტებზე გაცემულ სესხებზე, რომლებიც წარმოადგენენ გაუფასურებულ კრედიტს და მათთან დაკავშირებულ უზრუნველყოფაზე, რომლებიც ამცირებს პოტენციური დანაკარგების რისკს:

*სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“*  
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები,  
 რომლებიც ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ

| ლარი'000   | უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება |                      |                      |               |                          |                       |
|--|--------------------------------------|----------------------|----------------------|---------------|--------------------------|-----------------------|
|  | მთლიანი საბალანსო ღირებულება         | გაუფასურების რეზერვი | საბალანსო ღირებულება | უძრავი ქონება | სატრანსპორტო საშუალებები | ძვირფასი ლითონები სულ |
| მოხმარება  | 274                                  | (121)                | 153                  | 89            | 62                       | 2 153                 |
| მომსახურება  | 157                                  | (67)                 | 90                   | 61            | 29                       | - 90                  |
| ვაჭრობა  | 127                                  | (57)                 | 70                   | 47            | 23                       | - 70                  |
| <b>მთლიანი კლიენტებზე გაცემული სესხები, გაუფასურებული კრედიტით</b> | <b>558</b>                           | <b>(245)</b>         | <b>313</b>           | <b>197</b>    | <b>114</b>               | <b>2 313</b>          |

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, ცვლილება სასესხო უზრუნველყოფის პოლიტიკაში არ განხორციელებულა. იხილეთ შენიშვნა 10(ც).

## 5 ფასს 9-ზე გადასვლა

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენებისას

შემდეგი ცხრილი ასახავს საწყის შეფასების კატეგორიებს ბასს 39 -ის მიხედვით და ახალ შეფასების კატეგორიებს ფასს 9-ის მიხედვით კომპანიის ფინანსური აქტივებისათვის 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

| ლარი'000  | შენიშვნა | თავდაპირველი                     | ახალი                           | თავდაპირველი                             | ახალი                                   |
|---|----------|----------------------------------|---------------------------------|--|---|
|   |          | კლასიფიკაცია ბასს 39-ის მიხედვით | კლასიფიკაცია ფასს 9-ის მიხედვით | საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით | საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით |
| <b>ფინანსური აქტივები</b>                         |          |                                  |                                 |  |   |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები             | 9        | სესხები და მოთხოვნები            | ამორტიზირებული ღირებულება       | 1,134                                    | 1,134                                   |
| კლიენტებზე გაცემული სესხები                       | 10       | სესხები და მოთხოვნები            | ამორტიზირებული ღირებულება       | 33,464                                   | 34,049                                  |
| სხვა ფინანსური აქტივი (სხვა აქტივებში დამატებული) |          | სესხები და მოთხოვნები            | ამორტიზირებული ღირებულება       | 1,429                                    | 1,429                                   |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>                     |          |                                  |                                 | <b>36,027</b>                            | <b>36,612</b>                           |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>                    |          |                                  |                                 |  |   |
| სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები | 13       | ამორტიზირებული ღირებულება        | ამორტიზირებული ღირებულება       | 31,946                                   | 31,946                                  |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები                      |          | ამორტიზირებული ღირებულება        | ამორტიზირებული ღირებულება       | 411                                      | 411                                     |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>                |          |                                  |                                 | <b>32,357</b>                            | <b>32,357</b>                           |

შემდგომი ცხრილი აჯერებს საბალანსო ღირებულებებს ბასს 39-ის ფარგლებში საბალანსო ღირებულებებთან ფასს 9-ის ფარგლებში ფასს 9-ზე გადასვლისას 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

*სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“*  
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები,  
 რომლებიც ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ

| ლარი'000  | საბალანსო   | საბალანსო      |   |
|---|---|----------------|---|
|   | ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბერს | გადაანგარიშება | ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით 2018 წლის 1 იანვარს |
| <b>ფინანსური აქტივები</b>                         |   |                |   |
| <i>ამორტიზირებული ღირებულება</i>                  |   |                |   |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:            | 1,134   | -              | 1,134   |
| კლიენტებზე გაცემული:                              |   |                |   |
| საწყისი ნაშთი                                     | 33,464  | -              | -   |
| გადაანგარიშება                                    | -   | 585            | -   |
| საბოლოო ნაშთი                                     | -   | -              | 34,049  |
| სხვა ფინანსური აქტივი (სხვა აქტივებში დამატებული) | 1,429   | -              | 1,429   |
| <b>სულ ამორტიზირებული ღირებულება</b>              | <b>36,027</b>   | <b>585</b>     | <b>36,612</b>                                     |

ფასს 9-ის გამოყენების შედეგად არ მომხდარა ფინანსური ვალდებულებების გადაანგარიშება ან რეკლასიფიკაცია.

შემდეგი ცხრილი აჯამებს ფასს 9-ზე გადასვლის გავლენას, გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთზე. კაპიტალის სხვა ერთეულებზე არ ყოფილა ზეგავლენა.

| ლარი'000   | ფასს 9-ის გამოყენების გავლენა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით |
|--|--|
| <b>გაუნაწილებელი მოგება</b>  |  |
| საბოლოო ნაშთი ბასს 39-ის მიხედვით (2017 წლის 31 დეკემბერი)                             | 2,754  |
| კლიენტებზე გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ფასს 9-ის მიხედვით | 585  |
| <b>საწყისი ნაშთი ფასს 9-ის მიხედვით (2018 წლის 1 იანვარი)</b>                          | <b>3,339</b>   |

შემდეგი ცხრილი აჯერებს:

- ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის საბოლოო ნაშთს ბასს 39-ის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრისთვის; და
- ფასს 9-ის მიხედვით დადგენილ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის საწყის ნაშთს, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

| ლარი'000  | გაუფასურების რეზერვი და ანარიცხები |                |  |
|---|------------------------------------|----------------|--|
|   | 31 დეკემბერი 2017 (ბასს 39)        | რეკლასიფიკაცია | გადაანგარიშება 1 იანვარი 2018 (ფასს 9) |
| კლიენტებზე გაცემული                               | 950                                | -              | (585)                                  |
| <b>ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ჯამი</b> | <b>950</b>                         | <b>-</b>       | <b>(585)</b>                           |

## 6 წმინდა საპროცენტო შემოსავალი

|  | 2018           | 2017           |
|--|----------------|----------------|
|  | ლარი'000       | ლარი'000       |
| <b>ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი</b> |                |                |
| კლიენტებზე გაცემული სესხები  | 11,283         | 8,241          |
| ბანკში განთავსებები  | 1              | 2              |
|  | <b>11,284</b>  | <b>8,243</b>   |
| <b>საპროცენტო ხარჯი</b>  |                |                |
| სესხები იურიდიული პირებისგან   | (2,043)        | (678)          |
| სესხები ფიზიკური პირებისგან  | (1,848)        | (2,239)        |
| სხვა სესხები   | (281)          | (522)          |
|  | <b>(4,172)</b> | <b>(3,439)</b> |

## 7 საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

|  | 2018<br>ლარი'000 | 2017<br>ლარი'000 |
|--|------------------|------------------|
| რეკლამა და მარკეტინგი                        | 529              | 438              |
| იჯარა  | 485              | 414              |
| ცვეთა და ამორტიზაცია                         | 251              | 189              |
| საკონსულტაციო მომსახურება                    | 142              | 115              |
| იპოთეკის დაზღვევა                            | 117              | -                |
| საბანკო მოსაკრებლები                         | 111              | 48               |
| განცხადების შემოწმება                        | 70               | 35               |
| საოფისე საქონელი                             | 63               | 74               |
| კომუნალური მომსახურებები                     | 60               | 50               |
| კომუნიკაცია                                  | 50               | 35               |
| უსაფრთხოება                                  | 38               | 32               |
| საგადასახადო ხარჯი მოგების გადასახადის გარდა | 13               | 7                |
| სხვა   | 166              | 108              |
|  | <b>2,095</b>     | <b>1,545</b>     |

2018 წლისთვის, პროფესიულმა საფასურმა გადახდილმა აუდიტორული კომპანიისათვის აუდიტისა და სხვა პროფესიული სერვისების ასანაზღაურებლად შეადგინა 97 ათასი ლარი (2017 წელს: 66 ათასი ლარი).

## 8 მოგების გადასახადის ხარჯი

|   | 2018<br>ლარი'000 | 2017<br>ლარი'000 |
|---|------------------|------------------|
| მიმდინარე წლის საგადასახადო ხარჯი   | 361              | 170              |
| მომრაობა გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელიც გამოწვეულია შეფასების რეზერვებში დროებითი სხვაობებით | (179)            | (19)             |
| <b>სულ მოგების გადასახადი ხარჯი</b>   | <b>182</b>       | <b>151</b>       |

2018 წელს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი მოქმედი საგადასახადო განაკვეთით შეადგენს 15%-ს (2017 წელს: 15%).

**31 დეკემბრით დასრულებული წლის მოქმედი საგადასახადო განაკვეთის შეჯერება:**

|  | 2018<br>ლარი'000 | %         | 2017<br>ლარი'000 | %         |
|--|------------------|-----------|------------------|-----------|
| მოგება დაბეგრამდე                                  | 1,128            |           | 896              |           |
| მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო განაკვეთით | 169              | 15        | 134              | 15        |
| დაუქვითავი ხარჯები                                 | 13               | 1         | 17               | 2         |
|  | <b>182</b>       | <b>16</b> | <b>151</b>       | <b>17</b> |

**(ა) გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები**

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობები წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივებს 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მომავალი საგადასახადო სარგებლის რეალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოგებები ხელმისაწვდომი იქნება გამოყენებულ საგადასახადო ზარალთან მიმართებაში და ადგილი არ ექნება ცვლილებებს კანონმდებლობასა და რეგულაციებში, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ „კომპანიის“ უნარზე მოითხოვოს დაქვითვები მომავალ პერიოდებში.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში მოძრაობა დროებით სხვაობებში შემდეგი სახით აისახება:

| <b>2018</b>  | <b>ნაშთი<br/>2018 წლის<br/>1 იანვარს</b> | <b>მოგებაში ან<br/>ზარალში<br/>აღიარებული</b> | <b>ნაშთი<br/>2018 წლის<br/>31 დეკემბერს</b> |
|--|--|---|---|
| <b>ლარი'000</b>                                      |  |   |   |
| კლიენტებზე გაცემული სესხები                          | 214                                      | 143   | 357   |
| ძირითადი საშუალებები                                 | (127)                                    | 17  | (110)                                       |
| არამატერიალური აქტივები                              | 1  | 18  | 19  |
| სხვა აქტივები  | 15                                       | (15)  | -   |
| სუბორდინირებული სესხები და სხვა<br>ნასასხები თანხები | 20                                       | 10  | 30  |
| სხვა ვალდებულებები                                   | 44                                       | 6   | 50  |
|  | <b>167</b>                               | <b>179</b>                                    | <b>346</b>                                  |
| <b>2017</b>  | <b>ნაშთი<br/>2017 წლის<br/>1 იანვარს</b> | <b>მოგებაში ან<br/>ზარალში<br/>აღიარებული</b> | <b>ნაშთი<br/>2017 წლის<br/>31 დეკემბერს</b> |
| <b>ლარი'000</b>                                      |  |   |   |
| კლიენტებზე გაცემული სესხები                          | 133                                      | 81  | 214   |
| ძირითადი საშუალებები                                 | (40)                                     | (87)  | (127)                                       |
| არამატერიალური აქტივები                              | (1)                                      | 2   | 1   |
| სხვა აქტივები  | 10                                       | 5   | 15  |
| სუბორდინირებული სესხები და სხვა<br>ნასასხები თანხები | 12                                       | 8   | 20  |
| სხვა ვალდებულებები                                   | 34                                       | 10  | 44  |
|  | <b>148</b>                               | <b>19</b>                                     | <b>167</b>                                  |

**9 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

|  | <b>2018<br/>ლარი'000</b> | <b>2017<br/>ლარი'000</b> |
|--|--------------------------|--------------------------|
| ნადი ფული სალაროში                               | 1,173                    | 818                      |
| ფული ბანკებში                                    |                          |                          |
| BB- საერთაშორისო რეიტინგის ბანკებში              | 598                      | 316                      |
| <b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b> | <b>1,771</b>             | <b>1,134</b>             |

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არ არიან გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასს 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასადგენად, „კომპანია“ ფულადი სახსრების ეკვივალენტებს ეტაპი 1-ში აერთიანებს (2018 წლის 1 იანვარი: ეტაპი 1). ხელმძღვანელობის შეფასებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არამატერიალურია საანგარიშგებო პერიოდისთვის.

## 10 კლიენტებზე გაცემული სესხები

### შესადარისი ინფორმაცია

შესადარისი ინფორმაცია რეკლასიფიცირებულია რათა შეესაბამებოდეს 2018 წლის წარდგენას. “კომპანია” 2018 წელს შეცვალა კლიენტებზე გაცემული სესხების წარდგენა და წარადგინა ისინი სესხის მიზნობრიობის მიხედვით, მაშინ როდესაც 2017 წელს სესხები წარმოდგენილი იყო შესაბამისი უზრუნველყოფის სახეობის მიხედვით და ცალკე იყო ასახული ბიზნეს სესხი. “კომპანია” სჯერა რომ ასეთი კლასიფიკაცია უფრო ზუსტად ასახავს ინფორმაციას კლიენტებზე გაცემული სესხების შესახებ. მოძრაობები ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ კლიენტებზე გაცემული სესხების მთლიან ღირებულებებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წინა წლის წარდგენიდან მიმდინარე წლის წარდგენამდე არის შემდეგი:

| კლიენტებზე<br>გაცემული სესხები             | მთლიანი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წინა წლის<br>ფინანსური ანგარიშგების მიხედვით |                |                            |                |                       |               |
|--|---|----------------|----------------------------|----------------|-----------------------|---------------|
|  | უძრავი<br>ქონებით   |                | სატრანსპორტო<br>საშუალებით |                | მვირფასი<br>ლითონებით |               |
|  | უზრუნველყოფილი  | ბიზნეს სესხები | უზრუნველყოფილი             | უზრუნველყოფილი | უზრუნველყოფის გარეშე  | სულ           |
| სესხის მიზანი                              |   |                |                            |                |                       |               |
| სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა               | 249   | 358            | 20                         | -              | 3                     | 630           |
| წარმოება/მშენებლობა                        | 379   | 199            | 36                         | -              | -                     | 614           |
| მომსახურება                                | 3,392   | 1,519          | 841                        | 50             | 3                     | 5,805         |
| ვაჭრობა                                    | 3,174   | 6,817          | 400                        | 4              | 8                     | 10,403        |
| მოხმარება                                  | 9,338   | -              | 3,144                      | 589            | 333                   | 13,404        |
| საცხოვრებელი                               | 3,377   | -              | 181                        | -              | -                     | 3,558         |
| <b>სულ კლიენტებზე<br/>გაცემული სესხები</b> | <b>19,909</b>   | <b>8,893</b>   | <b>4,622</b>               | <b>643</b>     | <b>347</b>            | <b>34,414</b> |

|   | 2018<br>ლარი'000 | 2017<br>ლარი'000 |
|---|------------------|------------------|
| <b>კლიენტებზე გაცემული სესხები</b>        |                  |                  |
| მოხმარება                                 | 18,977           | 13,404           |
| ვაჭრობა                                   | 14,456           | 10,403           |
| მომსახურება                               | 9,507            | 5,805            |
| საცხოვრებელი                              | 4,720            | 3,558            |
| სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა              | 939              | 630              |
| წარმოება/მშენებლობა                       | 573              | 614              |
| <b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>    | <b>49,172</b>    | <b>34,414</b>    |
| ზარალის რეზერვი                           | (824)            | (950)            |
| <b>კლიენტებზე გაცემული სესხები წმინდა</b> | <b>48,348</b>    | <b>33,464</b>    |

მოძრაობა ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის რეზერვში იყო შემდეგი:

|  | 2018<br>ლარი'000 | 2017<br>ლარი'000 |
|--|------------------|------------------|
| <b>სესხის გაუფასურების რეზერვი</b>             |                  |                  |
| ნაშთი წლის დასაწყისში                          | 950              | 639              |
| კორექტირება ფასს 9-ის თავდაპირველ გამოყენებაზე | (585)            | -                |
| ნაშთი 1 იანვარს ფასს 9-ის გამოყენების შემდეგ   | 365              | 639              |
| წმინდა დარიცხვა                                | 1,523            | 601              |
| ჩამოწერები                                     | (1,414)          | (432)            |
| აღდგენა  | 350              | 142              |
| <b>ნაშთი წლის ბოლოს</b>                        | <b>824</b>       | <b>950</b>       |

**(a) კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

|   | 31 დეკემბერი<br>2018 |                     |                     | 31 დეკემბერი<br>2017 |                 |
|---|----------------------|---------------------|---------------------|----------------------|-----------------|
|   | ეტაპი 1<br>ლარი'000  | ეტაპი 2<br>ლარი'000 | ეტაპი 3<br>ლარი'000 | სულ<br>ლარი'000      | სულ<br>ლარი'000 |
